წიგნი გამოცემულია

ახალი თაობა – ახალი ინიციატივის და ნატოს საინფორმაციო ცენტრის მიერ, ლატვიის ტრანსატლანტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით

სოსო ცინცაძე, ულდის უმულისი

ნატო და საქართველოს უსაფრთხოება

დაფინანსებულია
საქართველოსა და ლატვიის თავდაცვის სამინისტროების მიერ

მხარდაჭერილია
ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და
საქართველოს ატლანტიკური საბჭოს მიერ

თბილისი
2008

სოსო ცინცაძე, ულდის უმულისი

„ნატო და საქართველოს უსაფრთხოება“

UDC (უაკ) 327.51 + 327 (479.22)
ც – 661

Copyright © „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“
Copyright © საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ

წიგნი ვრცელდება უსასყიდლოდ მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნით.

წიგნის ელექტრული ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტ გვერდებზე:
www.ngni.net , www.natoinfo.ge ;

წიგნის ყდაზე გამოყენებული სურათები: 2006 წლის რიგის სამიტის პერიოდში გამართული სოლიდარობის აქცია „არ დაგავიწყდეთ საქართველო“ ორგანიზებული ლატვიის ტრანსატლანტიკური ორგანიზაციის მიერ – LATO *(გადმოცემულია უსასყიდლოდ LATO–ს მიერ)*; „ნატოს შტაბბინა, ბრიუსელი, ბელგია“ *(მოპოვებულია ნატოს ოფიციალური გვერდიდან www.nato.int)*; „მომავლის ჯარისკაცი“ *(გადმოცემულია უსასყიდლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ).*

წიგნი არ გამოხატავს საქართველოსა და ლატვიის მთავრობების ოფიციალურ პოზიციას.

წიგნზე მუშაობდნენ: კოკი იონათამიშვილი, ნანუკა ჟორჟოლიანი, მიხეილ დევდარიანი, ელინა ლანგე, ანა ქებაძე, თამარ კვინიკაძე, ირაკლი ყიფშიძე, ირაკლი ფიფია, გია მამუკელაშვილი, თამარ კეკენაძე, ალეკო სილაგაძე.
სარედაქციო ჯგუფი: ქეთევან კიკვაძე, მარგო ინასარიძე, მამუკა სულხანიშვილი, დავით ტრჩუნიანი.

წიგნი გამოცემულია „ახალი თაობა – ახალი ინიციატივისა“ და „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ მიერ, „ლატვიის ტრანსატლანტიკურ ორგანიზაციასთან“ თანამშრომლობით.

დაფინანსებულია საქართველოსა და ლატვიის თავდაცვის სამინისტროების მიერ.

მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ISBN 978 – 0991 – 0 – 0324 – 0

წინასიტყვაობა პრეზიდენტის

მსურს, სკოლის თითოეულ მოსწავლეს, თითოეულ მკითხველს, მივულოცო ამ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი კრებულის გამოცემა. წიგნში თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ პასუხები კითხვებზე: თუ რატომ გადაწყვიტა დემოკრატიულმა სამყარომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დაფუძნება 60 წლის წინათ; რა გამოწვევები იდგა ადრე და რა გამოწვევები დგას ახლა მის წინაშე; რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ საქართველო ამ ალიანსის წევრი გახდეს.

ჩვენი ქვეყანა თავისი სტრატეგიული მდებაროებისა და მდიდარი ბუნებრივი პირობების გამო, მუდმივად იწვევდა დიდი იმპერიების განსაკუთრებულ ინტერესს. ჩვენი ქვეყანა ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში არაერთხელ გამხდარა იმპერიათა ჭიდილის ასპარეზი. ეს საქართველოს ყოველთვის დიდ ზიანს აყენებდა და საფრთხეს უქმნიდა მის სახელმწიფოებრიობასა და ეროვნულ თვითმყოფადობას. ქართველებს საკუთარი ქვეყნის დასაცავად, უმეტესწილად, მარტოდმარტო უხდებოდათ ამ იმპერიების მოგერიება, რის გამოც საქართველო არაერთხელ დამდგარა განადგურების საფრთხის წინაშე. თითოეული ჩვენი მამულიშვილის იდეა და ოცნება — ეხილა დამოუკიდებელი, განვითარებული და გარეშე მტრისგან დაცული საქართველო, სწორედ ახლა, თქვენი სწავლისა და შემდგომი მოღვაწეობის პერიოდში იქნება რეალიზებული. სწორედ დღევანდელი საქართველო მიისწრაფვის და აქვს რეალური შესაძლებლობა, ისტორიულად ყველაზე ძლევამოსილი და ამავე დროს, ძალზე ჰუმანური და დემოკრატიული სამხედრო–პოლიტიკური ალიანსის — ნატოს წევრი ქვეყანა გახდეს, მოიპოვოს უსაფრთხოების მყარი გარანტიები და დემოკრატიული განვითარებისა და აყვავების გზას დაადგეს.

ნატოს წევრობა – ეს არ არის არჩევანი მხოლოდ ქვეყანაში უკეთესი თავდაცვის სისტემის მოწყობის სასარგებლოდ; ნატოს წევრობა – ეს არის არჩევანი ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და პარტნიორების სასარგებლოდ. ამ მხრივ, ჩვენი საზოგადოებისთვის არ არის რთული შეეგუოს პარტნიორთა ახალ წრეს და გახდეს განვითარებული სამყაროს სრულუფლებიანი წევრი. ფასეულობანი, რომლებსაც ნატო ეფუძნება, თითოეული ჩვენგანისთვის ტრადიციულად ახლო და მისაღებია.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლიერ ალიანსში გაწევრიანებით კი საქართველო მიიღებს უსაფრთხოების მყარ გარანტიებს და სტაბილურობას, გამყარდება კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობა და ქვეყანა გააგრძელებს დემოკრატიული განვითარების შეუქცევად პროცესს. თავის მხრივ, სტაბილურობა და უსაფრთხოება შექმნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების, კეთილდღეობისა და მუდმივი წარმატებების მტკიცე საფუძველს.

მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, გპირდებით, რომ თითოეულ თქვენგანს ექნება განათლების, სამუშაო ადგილის მიღების და განვითარების გაცილებით მეტი საშუალება, ვიდრე წინა თაობის ადამიანებს ჰქონდათ. ყოველივე ეს კი ჩვენი ქვეყნის გაძლიერებით არის შესაძლებელი, რაც ცალსახად და უპირობოდ არის დაკავშირებული საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან.

მიხეილ სააკაშვილი
საქართველოს პრეზიდენტი (ხელმოწერა)

სარჩევი

ცივი ომი და ნატო 5

1. „ცივი ომის“ მიზეზები 5
2. განხეთქილების გაღრმავება 6
3. უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნის გზაზე 8
4. „მარშალის გეგმა“ და დასავლეთ ევროპის ეკონომიკური რეაბილიტაცია 10
5. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა 11

ნატო საუკუნეების გასაყარზე 16

1. სსრკ-სა და აღმოსავლეთის ბლოკის დაშლა 17
2. უსაფრთხოების „ნაცრისფერი ზონა“ ევროპაში 18
3. ნატო რჩება, იცვლება და მოქმედებს 19
4. თანამედროვე გამოწვევები 25

როგორ მუშაობს ნატო 33

1. ნატოს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები 34
2. ნატოს სტრუქტურა და გადაწყვეტილებათა მიღების წესი 35

საქართველო-ნატოს ურთიერთობები 43

1. საქართველოს გზა ნატოსაკენ 43
2. ნეიტრალიტეტი — მითი თუ რეალობა? 45
3. შემდეგი გაჩერება ნატო 46

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება 54

ტერმინთა განმარტება 57

ქრონოლოგია 61

ცივი ომი და ნატო



ევროპა, 1945 წელი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის – ნატოს, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ალიანსის შესახებ საუბარი დავიწყოთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მიმოხილვით. 1945 წელს ევროპის ორ ნაწილად დაყოფამ თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა ამ კონტინენტის, სრულიად მსოფლიოსა და ასეულ მილიონობით ადამიანის ბედი. სამი მოკავშირის – დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის – ერთობლივმა გამარჯვებამ თავდაპირველად გააჩინა ილუზია, რომ ევროპაში შეიქმნებოდა ახალი და ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობები. მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ამ შესაძლებლობების უსაფუძვლობა. დასავლეთში ნაციზმზე გამარჯვებას პირდაპირ უკავშირებდნენ დემოკრატიასა და თავისუფლებას, საბჭოთა კავშირმა კი კურსი აიღო ერთი დიქტატურის (ფაშისტურის) მეორით (კომუნისტურით) შეცვლაზე. ერთი ტრაგედიის დასრულებისთანავე დაიწყო მეორე. ევროპის გაყოფა გახდა „ცივი ომის“ მთავარი ნიშანი, ხოლო ბერლინის კედელი – მისი პირქუში არქიტექტურული სიმბოლო.

1. „ცივი ომის“ მიზეზები

(მარცხნიდან მარჯვნივ) ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერები: ***იოსებ სტალინი (სსრკ), თეოდორ რუზველტი (ა.შ.შ.) და უინსტონ ჩერჩილი (დიდი ბრიტანეთი).*** *1943 წლის თებერვალი, თეირანი.*

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულთა შორის პირველმა სერიოზულმა უთანხმოებამ უკვე პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის 17 ივლისი - 2 აგვისტო) იჩინა თავი, სადაც შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ლიდერები.

პოტსდამის კონფერენცია უკვე ახალ გეოპოლიტიკურ რეალობათა ფონზე მიმდინარეობდა, როდესაც საერთო მტრის გაქრობის შემდეგ დროებითი და ტაქტიკური კომპრომისები და თანამშრომლობაც კი შეუძლებელი ხდებოდა. ორივე მხარეს სჯეროდა საკუთარი სიმართლის. ის ფაქტი, რომ ამერიკელებისათვის (არა მხოლოდ პოლიტიკოსებისათვის, არამედ მთელი ერისათვის), კონკრეტული პოლიტიკური ან სამხედრო ინტერესების გარდა, შეიძლება „რაღაც პრინციპების“ ფანატიკური ერთგულება ყოფილიყო მთავარი, სტალინისათვის წარმოუდგენელი, დაუჯერებელი და საკუთარი ლოგიკით აუხსნელი იყო.

პოტსდამში განხეთქილების საბაბად პოლონეთის საკითხი იქცა. სტალინს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მეფის რუსეთის ისტორიული კურსის გაგრძელება და დემოკრატიული ტრადიციების მქონე ევროპული სახელმწიფოების ქცევა ამჯერად უკვე საბჭოთა კავშირის სატელიტებად.

მისი გათვლებით, ეს აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის მომავალი უსაფრთხოებისათვის, ხოლო თუ ვაშინგტონი და ლონდონი ამას ეწინააღმდეგებოდა და პოლონეთის თავისუფლება სურდა, სინამდვილეში განზრახული ჰქონდა საბჭოთა კავშირის დასუსტება. სხვაგვარი ახსნა სტალინისათვის წარმოუდგენელი იყო. როგორ და რატომ უნდა ერწმუნა კლასთა ბრძოლის თეორიასა და პრაქტიკაზე აღზრდილ „ფოლადის“ ბოლშევიკ-დიქტატორს, რომ ვიღაცისთვის თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებები და დემოკრატია უმაღლესი და წმიდათაწმიდა ფასეულობებია? რომ სადღაც მართლაც არსებობს პრესისა და სიტყვის თავისუფლება?

„ცივი ომის“ სათავეების გაანალიზებისას საჭიროა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის შეჯერება:

- კონფლიქტის მთავარი მიზეზი იყო იდეოლოგიური წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. საბჭოთა კავშირსა და მოგვიანებით მთელ აღმოსავლეთ ბლოკში გამეფებული ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმი სრულიად მიუღებელი იყო დასავლეთის იდეოლოგიური პლურალიზმისათვის (შეხედულებათა თავისუფლება და სხვადასხვაობა);
- იდეოლოგიურ შეუთავსებლობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები მსოფლიოში ომის შემდგომი დარეგულირებისა და წესრიგის დამყარების შესახებ. ომის შემდგომ პერიოდში ორივე მონაწილე მხარე თავს გამარჯვებულად თვლიდა და ჰქონდათ ამბიცია ეთამაშათ გადამწყვეტი როლი მომავალი ევროპის პოლიტიკურ მოწყობაში. სტალინი გამოდიოდა საბჭოთა დიპლომატიისათვის დამახასიათებელი სტილით, ცალმხრივად გაემყარებინა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროები და პოზიცია. დასავლეთში უპირატესობას ანიჭებდნენ მრავალმხრივ ინტეგრაციას, ერთა თვითგამორკვევის უფლებებსა და დემოკრატიულ ფასეულობებს;
- ამას ერთვოდა ძლიერი უთანხმოება კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებზე: გერმანიის მომავალი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში მთავრობების ფორმირება, საბერძნეთში კომუნისტების მიერ წამოწყებული სამოქალაქო ომი, საბჭოთა კავშირის ზეწოლა თურქეთზე და ა.შ.;
- დაბოლოს, უარყოფითი როლი შეასრულა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა ბირთვული იარაღის ფლობასა და მის წარმოებაში შეჯიბრით გამოწვეული შიში, ერთიმეორის განზრახვათა არცოდნა, დასავლეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებისა და საზოგადოების შეშფოთება იმის გამო, რომ აშშ-ის სამხედრო ძალების დემობილიზაციის შემდეგ, ომის შემდგომ დასუსტებული ევროპის ქვეყნები საბჭოთა სამხედრო უპირატესობასთან პირისპირ რჩებოდნენ.

2. განხეთქილების გაღრმავება

საბჭოთა კავშირი, სტალინის ხელმძღვანელობით, ჯიუტად ცდილობდა ომის შემდეგ შექმნილი სტრატეგიული მდგომარეობის გამოყენებას, როდესაც წითელი არმია უკუქცეული მტრის დევნისას ღრმად შეიჭრა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე და მოახდინა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ასევე ავსტრიის, იუგოსლავიისა და თვით გერმანიის ტერიტორიების ნაწილის ოკუპაცია. აქ, ისევე როგორც 1940 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში, წითელი არმიის ყოფნა გამოიყენეს იმისათვის, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე თანდათანობით მოსკოვის მორჩილი საბჭოთა მმართველობის მსგავსი რეჟიმები ჩამოეყალიბებინათ.

ამასთანავე, სტალინი, იყენებდა რა მემარცხენე პოლიტიკური ძალების პოპულარობას იტალიაში, საბერძნეთსა და საფრანგეთში, აპირებდა საბჭოთა გავლენის გაფართოებას ევროპის სხვა ნაწილებშიც. ამ მიზნით 1947 წელს შეიქმნა კომინფორმი — ორგანიზაცია,

ბერლინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

რომლის მიზანს საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობა და მათი ქმედებების შეთანხმება წარმოადგენდა. ხელახლა შექმნილი სტრუქტურა თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობით, კომუნისტური გავლენის გავრცელების იდეით ძალიან ჰგავდა ომამდელ კომინტერნს.

დასავლეთ ევროპაზე განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა სახელმწიფო გადატრიალებამ ჩეხოსლოვაკიაში, რომელიც კომუნისტების მიერ იყო ორგანიზებული; ჩეხოსლოვაკიის მოვლენებმა მთელი სიმწვავით დააყენა დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინაშე საიმედო თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბების საკითხი. კომუნისტებმა თავისუფალ არჩევნებში გაიმარჯვეს, მაგრამ მოსკოვისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო თავისუფალი არჩევნები თავისი მოსალოდნელი თუ მოულოდნელი სიურპრიზებით. სტალინისათვის მისაღები მხოლოდ ერთპარტიული უვადო კომუნისტური დიქტატურა იყო. სწორედ ამას შეეწირა დემოკრატიული წყობა და დემოკრატიული მმართველობის ყოველგვარი პერსპექტივა პრაღაში. ამას 1948 წელს ბერლინის ბლოკადა მოჰყვა, რაც ნათელს ხდიდა, რომ სტალინი მზად იყო სამხედრო შეჯახების რისკზე წასულიყო.

ბერლინის ბლოკადა

ერთ-ერთი საბედისწერო მოვლენა, რამაც ევროპა „ცივი ომის“ პირისპირ დააყენა, გახდა ბერლინის ბლოკადა 1948-1949 წლებში. სწორედ ბერლინის კრიზისმა დაუდო სათავე კონფრონტაციას, რომლის შედეგიც ბერლინის და მთლიანად ევროპის გაყოფა, „რკინის ფარდა“ და ბერლინის კედელი იყო.

როგორც ცნობილია, 1945 წელს ნაციზმის განადგურების შემდეგ, დამარცხებული გერმანიისა და მისი დედაქალაქის ტერიტორია გაიყო ე.წ. საოკუპაციო ზონებად, რომლებსაც აკონტროლებდნენ ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები და საბჭოთა ჯარები. მათი კონტროლის ქვეშ უნდა აღმდგარიყო ერთიანი გერმანული სახელმწიფო.

მაგრამ, სულ მალე, 1947 წელს, გერმანიის აღდგენასთან დაკავშირებით გამოვლინდა განსხვავებული მოსაზრებები. სტალინის სურვილი იყო მომავალში საქმე ჰქონოდა ეკონომიურად დასუსტებულ და პოლიტიკურად კონტროლირებად გერმანიასთან.

დასავლელ მოკავშირეებს სურდათ სწრაფად აღედგინათ სრულუფლებიანი გერმანული სახელმწიფო, რომელიც დაეფუძნებოდა საბაზრო ეკონომიკის, დემოკრატიულ და თანაბარუფლებიანი პარტნიორობის პრინციპებს. ამ მიზნით, მათ მიერ კონტროლირებადი საოკუპაციო ზონები დასავლეთ გერმანიაში ჩართულ იქნა „მარშალის გეგმაში“ და დაიწყო იქ რეფორმების გატარება.

ამ ფაქტმა გაამძაფრა სტალინის ეჭვები. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა 1948 წელს, როდესაც ამერიკელებმა და ინგლისელებმა თავიანთ საოკუპაციო ზონებში დაიწყეს ფულადი რეფორმის გატარება.

სტალინმა ამის საპასუხოდ დაიწყო ბერლინის დასავლეთი საოკუპაციო ზონების სამხედრო ბლოკადა — მიწისზედა კავშირის ყველა საშუალების სრული შეწყვეტა, რომელიც საჭირო იყო ქალაქის დასავლეთი ნაწილის უზრუნველსაყოფად. დასავლეთი ბერლინის მცხოვრებთ შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა. ამას აშშ-მა და ინგლისმა უპასუხეს საჰაერო ხიდის ორგანიზებით. რამდენიმე თვის განმავლობაში ასეულ ათასობით ტონა საკვები და სხვა პროდუქტი იქნა მიწოდებული თვითმფრინავებით დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთათვის.

სტალინმა ვერ შეძლო ბერლინელების მოდრეკა და ამიტომ აღმოსავლეთ გერმანიის გასაბჭოება დაიწყო. იქ შეიქმნა მარიონეტული კომუნისტური სახელმწიფო - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. დასავლეთ ნაწილში კი შეიქმნა დემოკრატიული და აღმავლობის გზაზე მდგარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამგვარად დამტკიცდა გერმანიისა და გერმანელი ხალხის ხელოვნურად გაყოფა.

დასავლეთი ევროპის ქვეყნებმა მოვლენათა ასეთ განვითარებაში დაინახეს სერიოზული მუქარა საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ომის შედეგად ეკონომიკა განადგურებული ან სერიოზულად შესუსტებული იყო და ისინი არ ფლობდნენ საკმარის სამხედრო-თავდაცვით პოტენციალს.

შიდა სირთულეებით გამოწვეული სოციალური დაბნეულობა კარგ საფუძველს უქმნიდა კომუნისტურ პროპაგანდას და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიმზიდველს ხდიდა გარე აგრესიისათვის.

ამავე დროს აშშ-მა დაიწყო ჯარების სწრაფად გაყვანა ევროპიდან. თუ 1945 წელს ევროპაში იყო 3,5-4 მილიონი ამერიკელი ჯარისკაცი, 1949 წლისთვის იქ მხოლოდ 100 ათასი დარჩა. შექმნილი ვითარება ბევრს აფიქრებდა, რომ აშშ მინიმუმამდე ამცირებდა თავის პოლიტიკურ ინტერესს ევროპისადმი, როგორც ეს მოხდა I მსოფლიო ომის შემდეგ.

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სამხედრო ხარჯები მილიარდ დოლარში (1948-1949წწ.)

წელი	აშშ	საბჭოთა კავშირი	საფრანგეთი	დიდი ბრიტანეთი	იტალია
1948	10,9	13,1	0,9	3,4	0,4
1949	13,5	13,4	1,2	3,1	0,5

Kennedy P.The Rise and Fall of the Great Powers. London: Fontana Press, 1989. 495 pp

3. უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნის გზაზე

საბჭოთა კავშირის ქმედებებმა აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ჩეხოსლოვაკიაში, დასავლეთი ევროპის ქვეყნების ყველაზე შორსმჭვრეტელი ლიდერები გააააქტიურა, რათა შეეჩერებინათ მოვლენების შემდგომი არასახარბიელო განვითარება და გაეძლიერებინათ თავიანთი სახელმწიფოების უსაფრთხოება. განსაკუთრებული ენერგიით გამოირჩეოდნენ უინსტონ ჩერჩილი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი II მსოფლიო ომის პერიოდში და დიდი ბრიტანეთის ომის შემდგომი პერიოდის საგარეო საქმეთა მინისტრი ერნსტ ბევინი. ამ საშიშ რეალობაზე პირველი ჩერჩილი ალაპარაკდა. 1946 წლის 5 მარტს მისურის შტატის ქალაქ ფულტონში იგი ბრიტანეთის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერის რანგში წარდგა აუდიტორიის წინაშე და წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა, რომელშიც პირველად გამოიყენა ტერმინი – „რკინის ფარდა“.

ამავე პერიოდში განისაზღვრა დასავლეთი ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი პრინციპები:

- დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების (დამარცხებული გერმანიის ჩათვლით) ფართო სოლიდარობა და მოქმედებათა ერთიანობა;
- ამ სახელმწიფოთა კოლექტიური სამხედრო თავდაცვა შესაძლო საფრთხისაგან;
- აშშ-ის ჩართვა ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიაში.

სიტუაციისა და პოტენციურ საფრთხეთა ასეთივე შეფასება თანდათანობით მომწიფდა ატლანტის ოკეანის მიღმაც — აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში. ამაზე მოწმობს მოსკოვში ამერიკის საელჩოს რიგითი ახალგაზრდა დიპლომატის, შემდგომში ცნობილი მკვლევრისა და ექსპერტის, ჯორჯ კენანის „გრძელი დეპეშა“; აშშ-ის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დოქტრინა, რომელშიც კომუნისტური ტოტალიტარიზმის ექსპანსიის შეკავების პოლიტიკა იყო ასახული და აღწერილ იქნა „მარშალის გეგმა“, რომელიც ევროპის ქვეყნების ეკონომიკის აღორძინებისკენ იყო მიმართული.

საბჭოთა კავშირის ქმედებები	დასავლეთის ქვეყნების ქმედებები
სტალინი ცალმხრივად აძლიერებს კომუნისტურ მმართველობას პოლონეთში 1945-1946 წლებში.	ჯორჯ კენანის „გრძელი დეპეშა“ — 1946.
კომუნისტების პოზიციების გამყარება აღმოსავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებში და გერმანიის საბჭოთა ოკუპაციის ზონაში, წითელი არმიის იქ ყოფნის გზით – 1946.	უ. ჩერჩილის სიტყვა ფულტონში — 1946.
კომუნისტების მიერ საბერძნეთში გაჩაღებული სამოქალაქო ომი — 1946.	დიუნკერკის შეთანხმება დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის — 1947.
იტალიისა და საფრანგეთის არჩევნებში კომუნისტური პარტიის მიერ მიღწეული წარმატებები – 1946.	ტრუმენის დოქტრინა, შეკავების პოლიტიკა და „მარშალის გეგმა“ — 1947.
სახელმწიფო გადატრიალება ჩეხოსლოვაკიაში — 1948.	ბრიუსელის შეთანხმება — 1948.
საბჭოთა კავშირის მიერ ატომური ბომბის შექმნა — 1949.	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა — 1949.
ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა — 1955.	ვაშინგტონის ხელშეკრულება, რომელიც შემდეგ ნატოს დაედო საფუძვლად — 1949 წლის 4 აპრილი.

ორპოლუსიანი მსოფლიო და „ცივი ომი“

გაეროს წესდების 51-ე მუხლი ითვალისწინებს მის წევრ-სახელმწიფოთა უფლებას ინდივიდუალურ და კოლექტიურ უსაფრთხოებაზე. პირველ ასეთ ცდად იქცა 1947 წლის 4 მარტის დიუნკერკის შეთანხმება ურთიერთდახმარებაზე საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის. ფორმალურად შეთანხმების მიზანი გერმანიის რევანშის არდაშვება იყო, მაგრამ სინამდვილეში იგი საბჭოთა კავშირის მხრიდან შესაძლო საფრთხისაგან თავდაცვას ითვალისწინებდა და კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ჩამოყალიბების წინა პირობას ქმნიდა.

დასავლეთის ქვეყნების სოლიდარობისა და კოლექტიური თავდაცვის პრინციპები ჩადებული იყო ბრიუსელის 1948 წლის მარტის შეთანხმებაში, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობისა და კოლექტიური თავდაცვის შესახებ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს: დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა. შეთანხმების მეოთხე მუხლი ითვალისწინებდა კოლექტიური თავდაცვის მექანიზმს, რომლის საფუძველზეც შემდგომში შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების სისტემა.

ბრიუსელის შეთანხმების დადების შემდეგ დიპლომატიური ძალისხმევა მონაწილეთა წრის გაფართოებისა და აშშ-ის თავდაცვის ევროპულ სისტემაში ჩართვის მიზნით რამდენიმე თვე გრძელდებოდა. დიპლომატების ძალისხმევის შედეგად შემუშავდა ახალი შეთანხმების, უფრო ფართო პროექტი, რომლის მიხედვითაც ახლად შექმნილ ევროპულ სისტემაში აშშ-ის ჩართვა მოხდებოდა.

4. „მარშალის გეგმა“ და დასავლეთ ევროპის ეკონომიკური რეაბილიტაცია



ქვეყნები, რომლებსაც მოიცავდა “მარშალის გეგმა”

1947 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა საფუძველი ჩაუყარა აშშ-ის ევროპის ქვეყნებისათვის დახმარების პროგრამას, რომელსაც შემდგომ „მარშალის გეგმა“ ეწოდა.

„მარშალის გეგმა“ თავდაპირველად გათვლილი იყო ომისგან დაზარალებული ევროპის ყველა სახელმწიფოს აღდგენაზე. მაგრამ სტალინმა განაცხადა უარი თავისი გავლენის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისათვის ამერიკის დახმარებაზე. ამიტომ „მარშალის გეგმის“ განხორციელება მხოლოდ დასავლეთი ევროპის 16 ქვეყანაში დაიწყო.

1947 წლის 12 ივლისს პარიზში გაიმართა ამ ქვეყნების დელეგატების პირველი შეკრება. ფორუმი შემდგომში გადაკეთდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტად, ხოლო 1948 წლის 2 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო კანონი ევროპის აღორძინების შესახებ. მთავარი ამოცანა ასე იყო ფორმულირებული: „კომუნიზმის შეკავება ეკონომიკურ დონეზე“. პირველ ვარიანტთან შედარებით გაიზარდა დახმარების მოცულობა და მან 1948 წლის 3 აპრილიდან 1951 წლის 30 ივნისამდე უკვე 17 მილიარდი დოლარი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი – საერთო თანხის 23% დიდ ბრიტანეთს ერგო, როგორც ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყანას, 20% – საფრანგეთს და ა.შ.

ევროპისათვის „მარშალის გეგმის“ მნიშვნელობის სრულად შეფასებისათვის აუცილებელია ორიოდ სიტყვით პრეზიდენტ ტრუმენის 1947 წლის 12 მარტის გამოსვლაც ვახსენოთ, რომელიც ისტორიაში „ტრუმენის დოქტრინის“ სახელითაა ცნობილი. ტრუმენმა ყურადღება გაამახვილა „ცხოვრების ორ წესს“ შორის არსებულ განსხვავებებზე. დოქტრინის მიხედვით, ერთი წესი დაფუძნებული იყო უმრავლესობის ნებაზე, რომელსაც თავისუფალი ინსტიტუტები განსაზღვრავს. მეორე წესი კი მთლიანად ეფუძნებოდა უმრავლესობისათვის ძალადობით თავს მოხვეული უმცირესობის ნებას. ამერიკის შეერთებული შტატები სრულ მხარდაჭერას უცხადებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ხალხს.

„მარშალის გეგმამ“ უდიდესი როლი შეასრულა ევროპის ერთობის ჩამოყალიბებაში, მან ბიძგი მისცა კონტინენტის დასავლეთი ნაწილის ინტეგრაციას, საბოლოო ჯამში კი ამერიკამ ერთიანი დასავლეთი ევროპის სახით ძლიერი და საიმედო მოკავშირე შეიძინა „ცივ ომში“.

შემდგომი პერიოდის ევროპის ეკონომიკური ცხოვრების ახალ ნაბიჯად 1951 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნა იქცა. თავდაპირველად, გეგმა ითვალისწინებდა საერთო ბაზრის შექმნას მხოლოდ ამ ორ დარგში. თანდათანობით თანამშრომლობისა და ინტეგრაციის სფეროები გაფართოვდა. ამ ორი დარგის გაერთიანებიდან იშვა ძლიერი ერთობა, რომელსაც დღეს ეწოდება ევროკავშირი. საწყის ეტაპზე მასში გაერთიანებული იყო ექვსი ქვეყანა (ბელგია, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები).

5. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატოს) დაფუძნება
1949 წლის 4 აპრილი, ვაშინგტონი

ევროპული უსაფრთხოების ახალ სისტემას საფუძველი ჩაეყარა 1949 წლის 4 აპრილს, როდესაც ვაშინგტონში ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, დანიის, საფრანგეთის, ისლანდიის, იტალიის, კანადის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პორტუგალიისა და აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას (North Atlantic Treaty).

შეთანხმების განსაკუთრებული ხასიათი განისაზღვრება:

- მე-5 მუხლით, რომელიც გულისხმობს ალიანსის წევრი სახელმწიფოების კოლექტიური თავდაცვის ვალდებულებას გარეშე თავდასხმის შემთხვევაში;
- ჩრდილოამერიკული ქვეყნების (აშშ და კანადა) ჩართვით ევროპაში სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხში.

ასე დამყარდა ისტორიული ტრანსატლანტიკური კავშირი ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის. იგი უნდა გამხდარიყო დასავლეთი ევროპის ქვეყნების საიმედო დამცავი მექანიზმი ნებისმიერი სახის აგრესიის თუ მუქარის შემთხვევაში.

ჩრდილოატლანტიკური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ანუ ნატო (NATO-North Atlantic Treaty Organization). 1950-დან 1953 წლამდე პერიოდში შეიქმნა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის სისტემა. 1952 წელს მოხდა ნატოს პირველ გაფართოება — ორგანიზაციაში მიიღეს თურქეთი და საბერძნეთი. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიღება ალიანსში. ამ გაბედულმა გადაწყვეტილებამ დაადასტურა დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოებისა და მთლიანად დასავლეთის საზოგადოების სურვილი, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთობლივი პოლიტიკის ფორმირებაში. სრულუფლებიანი პარტნიორის სახით ჩაერთო ყოფილი მტერი (გერმანია).

მიუხედავად იმისა, რომ ნატო შეიქმნა თავდაცვის მიზნით და არ იყო მიმართული არცერთი ქვეყნის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის საპასუხო რეაქცია გამოიხატა 1955 წელს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნაში. ეს იყო სამხედრო ბლოკი, რომელშიც საბჭოთა კავშირმა თავისი სატელიტი ქვეყნები — პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩართო. ფორმალურად ეს სტრუქტურა იქმნებოდა როგორც ნატოს დამაბალანსებელი. მაგრამ, ჭეშმარიტი თანასწორობისა და დემოკრატიული მიზნების არარსებობის პირობებში, მოსკოვი მას იყენებდა როგორც დამატებით ძალისმიერ ინსტრუმენტს, რათა აღმოსავლეთის ბლოკში შეენარჩუნებინა ტოტალიტარული წყობილება. ვარშავის ხელშეკრულება მოქმედებდა, როგორც საკუთარ თავში ჩაკეტილ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც უსიტყვოდ ასრულებდა მოსკოვის ბრძანებებს. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, როდესაც ვარშავის ხელშეკრულების შეიარაღებული ძალები გამოიყენეს ქვეყანაში რეფორმების გატარების მცდელობის ჩასახშობად.



ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, "ცივი ომის" პერიოდში გაწევრიანების წლების მიხედვით

ნატოს წევრი ქვეყნები

1949	ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი
1952	თურქეთი, საბერძნეთი
1955	გერმანიის ფერერაციული რესპუბლიკა
1982	ესპანეთი

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები

1955	ალბანეთი, საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკაია, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი
1956	გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

დოკუმენტები და წყაროები

1. *უინსტონ ჩერჩილის გამოსვლას 1946 წლის 5 მარტს ფულტონში (აშშ) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის გამოწვევაზე პასუხის გაცემის თვალსაზრისით. ეს გამოსვლა იმითიც გახდა ცნობილი, რომ მასში პირველად გახმოვანდა ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებული პოლიტიკური ალეგორია „რკინის ფარდა".*

„იმ სივრცეზე, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ანათებდა მოკავშირეების გამარჯვება, ახლა წყვდიადი ჩამოწვა. არავინ იცის საბჭოთა რუსეთისა და მისი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაციის ზრახვები, არც მისი ექსპანსიის საზღვრები. მე პატივს ვცემ და აღფრთოვანებული ვარ რუსი ხალხის სიმამაცითა და ჩემი სამხედრო მეგობრის მარშალ სტალინის როლით. ეჭვი არ მაქვს, რომ ხალხი დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც აქ (აშშ-ში) ღრმა სიმპათიით არის გამსჭვალული რუსეთის ერთა მიმართ... ჩვენ გვესმის რუსეთის სურვილი, გაამყაროს თავისი დასავლეთი საზღვარი გერმანიის მხრიდან ნებისმიერი აგრესიის შესაძლებლობის აღსაკვეთად. ჩვენ მივესალმებით რუსეთის შესვლას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების რიგში. თუმცა, ჩემი ვალია, თქვენი ყურადღება მივაქციო რამდენიმე ფაქტს, რომლებიც ევროპაში ახლახან შექმნილ სიტუაციას ეხება.

ბალტიის ზღვიდან, შეცინიდან, ადრიატიკის სანაპირომდე, ტრიესტამდე, — მთელ კონტინენტზე ჩამოწვა რკინის ფარდა. ამ ზღვრის მიღმა დარჩა აღმოსავლეთი და

ცენტრალური ევროპის ძველი სახელმწიფოების დედაქალაქები: ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი, სოფია... სადაც მათი მოქალაქეები იმყოფებიან, იძულებული ვარ ასე ვუწოდო, საბჭოთა სივრცეში და ყველანი განიცდიან არა მარტო საბჭოურ გავლენას, არამედ ემორჩილებიან მოსკოვის ძალზე ძლიერ და მზარდ კონტროლს. თითქმის ყველგან ჭარბობს პოლიციური მმართველობა და მოცემულ დროს, ჩეხოსლოვაკიის გარდა, იქ ჭეშმარიტი დემოკრატია არ არის".

წყარო: *http://www.historyguide.org/europe/churchill.html*

უინსტონ ჩერჩილი

2. 1946 წლის 14 მარტს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული იოსებ სტალინის ინტერვიუდან:

„კითხვა: *როგორ შეაფასებდით ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში ბატონი ჩერჩილის მიერ წარმოთქმულ სიტყვას?*
პასუხი: *მე მას ვაფასებ როგორც საშიშ ქმედებას, რომელიც გამიზნულია იმისათვის, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის გამოიწვიოს კონფლიქტი და გაართულოს მათი თანამშრომლობა.*
კითხვა: *უნდა აღვიქვათ თუ არა ბატონი ჩერჩილის სიტყვა, როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების მავნებელი ქმედება?*
პასუხი: *რა თქმა უნდა. ფაქტობრივად, ბატონი ჩერჩილი იქცა ომის გამჩაღებლად. ამ საქმეში კი ბატონი ჩერჩილი მარტო არ არის, მას ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს არა მხოლოდ ინგლისში, არამედ შეერთებულ შტატებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ, ამ თვალსაზრისით, ბატონი ჩერჩილი და მისი მეგობრები საოცრად ჰგვანან ჰიტლერსა და მის მეგობრებს".*

წყარო: *„პრავდა", 1946 წლის 14 მარტი.*

3. ამონარიდი ჯორჯ კენანის „გრძელი დეპეშიდან", 1946 წელი:

„...კომუნისტური პროპაგანდა ძირითადად ნეგატიურ და დამანგრეველ ხასიათს ატარებს. ამიტომ ადვილია, დავუპირისპიროთ მას გონიერი და ნამდვილად კონსტრუქციული პროგრამა...
...ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ და წარვუდგინოთ სხვა ერებს მსოფლიოს მოწყობის უფრო პოზიტიური და კონსტრუქციული გეგმა, ვიდრე ამას წარსულში ვაკეთებდით. საკმარისი არ არის სხვა ერების დარწმუნება, რომ განავითარონ ისეთი პოლიტიკური პროცესები, როგორიც ჩვენ გვაქვს. ბევრი ერი, ყოველ შემთხვევაში ევროპაში, დაიღალა და ეშინია იმის, რაც წარსულში გადაიტანა. ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებულნი აბსტრაქტული დამოუკიდებლობით, ვიდრე უსაფრთხოებით. მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ რჩევა, ვიდრე პასუხისმგებლობა. ჩვენ უფრო უნდა ვიყოთ მზად შევთავაზოთ მათ ეს, ვიდრე რუსები..."

წყარო: *http://www.gwu.edu/~nsarchiv/coldwar/documents/episode-1/kennan.htm*

4. აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის მიერ 1947 წლის 12 მარტს აშშ-ის კონგრესში წარმოთქმული სიტყვა მოიცავს ტრუმენის ცნობილ დოქტრინას, რომელიც აშშ-ის მხრიდან დახმარებას ჰპირდება კომუნიზმთან მებრძოლ ქვეყნებს:

„შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შესაბამისი პირობების შექმნა იმისათვის, რომ ჩვენ და სხვა სახელმწიფოებიც ვცხოვრობდეთ ჩაგვრისაგან თავისუფალი ცხოვრების სტილით. მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებთ მიზნის მიღწევას, თუ ვერ დავეხმარებით თავისუფალ ერებს დაიცვან თავიანთი დამოუკიდებელი ხელისუფლება და სახელმწიფოებრივი ერთიანობა აგრესიული ძალებისგან, რომლებიც ცდილობენ თავს მოახვიონ მათ ტოტალიტარული რეჟიმი. ჩვენ ღიად უნდა განვაცხადოთ, რომ პირდაპირი და ირიბი აგრესიით თავსმოხვეული ტოტალიტარული რეჟიმები საშიშროების წინაშე აყენებს მშვიდობას დედამიწაზე და მასთან ერთად შეერთებული შტატების უსაფრთხოებასაც“.

წყარო: *Grayson W. Strange Bedfellows: NATO Marches East. – New York: University Press of America Inc., 1999.*

4. კომინფორმის 1947 წლის სექტემბრის განცხადებიდან. ორსახოვანი პროპაგანდული რიტორიკის შესანიშნავი ნიმუში:

„შეიქმნა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური ხაზი: ერთ პოლუსზე არის სსრკ-ისა და დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკა (ასე უწოდებს ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდა მოსკოვის კონტროლის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთი ევროპის კომუნისტურ დიქტატურებს), რომელიც მიმართულია იმპერიალიზმის განადგურებისა და დემოკრატიის გამყარებისკენ; მეორე პოლუსზე კი არის აშშ-ისა და ინგლისის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმპერიალიზმის გაძლიერებისა და დემოკრატიის ჩახშობისაკენ. ვინაიდან სსრკ და ახალი დემოკრატიის ქვეყნები იქცნენ დაბრკოლებად იმპერიალისტური გეგმების განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლას და დემოკრატიული (ანუ კომუნისტური) მოძრაობის განადგურებას, გამოცხადდა სსრკ-ისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების საწინააღმდეგო კამპანია, რომელიც გამყარებულია ახალი ომის მუქარით განსაკუთრებით მხურვალე იმპერიალისტური პოლიტიკოსების მხრიდან აშშ-სა და ინგლისში“.

წყარო: *ახალი და უახლესი ისტორიის ქრესტომათია — III ტომი, I ნაწილი, მოსკოვი: სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურის გამომცემლობა, 1961, გვ. 152.*

კითხვები და დავალებები

1. შეისწავლეთ ცხრილი, რომელშიც მოყვანილია სსრკ-ისა და დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ხარჯები 1948-1949 წელს (აშშ-ის ევროპის უსაფრთხოების სისტემაში ჩართვამდე). რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან?

2. რა არგუმენტები შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში შესაძლო გაწევრიანებისთვის?

3. *წაიკითხეთ ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების პრეამბულა (საერთაშორისო სამართალში ასე ეწოდება შეთანხმების შესავალ ნაწილს), მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები. ახსენით, თუ რა სახის საფრთხეების წინააღმდეგ ერთიანდებიან შეთანხმების მონაწილეები? იპოვეთ ტექსტში: ა) ნატოს მიზნები და პრინციპები; ბ) მიზნების მიღწევის მეთოდები. შეაჯამეთ მიღებული შედეგები შემდეგ ცხრილში:*

ნატოს მიზნები და პრინციპები	მიზნების მიღწევის მეთოდები

- *რა განსხვავება იყო ორ სამხედრო ბლოკს — ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის? რატომ დასჭირდა ნატოს შექმნას შედარებით დიდი დრო, ხოლო ვარშავის ხელშეკრულება კი რამდენიმე დღეში გაფორმდა?*

საზოგადოება აგრძელებს კამათს

- *ადამიანის გონება, რომელიც ისწრაფვის შეფასებისაკენ, ყოველთვის ეძებს ამა თუ იმ სიტუაციაზე პასუხისმგებლებს. „ცივმა ომმა“ მართლა ბევრი ცუდი მოიტანა. ვინ არის დამნაშავე ამ დაძაბულობის გამოწვევაში? საბჭოთა ოფიციალური პროპაგანდა თავის დანაშაულს აბრალებდა იმპერიალისტურ დასავლეთს. დასავლეთში კი ძირითადად სსრკ-ის პოლიტიკას ადანაშაულებდნენ. ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძიოთ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ევროპის ისტორიაში მომხდარ მოვლენებში: დაიშალა სსრკ, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებმა კვლავ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, დაიშალა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ნატო კი აგრძელებს განვითარებას.*

დასკვნა

II მსოფლიო ომის შემდეგ ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალ მოკავშირეთა ურთიერთობებში დაძაბულობის გაზრდა გამოწვეული იყო მათი იდეოლოგიური შეუთავსებლობით და ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგისადმი განსხვავებული მიდგომებით. გადაულახავ წინააღმდეგობებს მსოფლიოს ორ მტრულ ბანაკად დაყოფა მოჰყვა, რომელთა შორის გაჩაღდა „ცივი ომი“. მთავარი გამყოფი ხაზი მდებარეობდა ევროპაში. სიტუაცია სახელმწიფოებისგან მოითხოვდა ახალ მიდგომებს უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრისადმი. ჩრდილოატლანტიკური შეთანხმებით შეიქმნა დასავლეთის ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმი და მოხდა აშშ-ის ჩართვა დასავლეთი ევროპის მშვიდობიანი განვითარების პროცესში. 1949 წლის შეთანხმების დადების დღიდან ტრანსატლანტიკური სოლიდარობა გახდა დასავლეთ ევროპაში მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების მთავარი გარანტი.

ნატო საუკუნეების გასაყარზე

ბერლინის კედლის დანგრევა *1990 წელი. გერმანია*

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 40 წელზე მეტხანს, მსოფლიო პოლიტიკის მთავარ საკითხს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებს შორის არსებული მწვავე უთანხმოება წარმოადგენდა.

ამ დროის მანძილზე ნატო იყო საიმედო ბარიერი, რომელიც თავიდან იცილებდა ნებისმიერ პოტენციურ საფრთხეს. ხშირად მოკავშირეებს შორისაც წამოჭრილა გარკვეული უთანხმოებანი. მაგალითად, სუეცის კრიზისი, როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა არა მხოლოდ საჯაროდ დაგმო ევროპელი მოკავშირეებისა და ნატოს გავლენიანი წევრების – საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის, ასევე, ისრაელის მიერ სუეცის არხზე კონტროლის აღდგენის მიზნით განხორციელებული სამხედრო აქცია, არამედ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ინიციატორიც კი გახდა. რეზოლუცია საფრანგეთ-ინგლის-ისრაელის მხრიდან საომარი მოქმედებების დაუყოვნებელ შეწყვეტას მოითხოვდა. ალიანსის წევრთა ერთსულოვნებისა და სიმტკიცისთვის კიდევ უფრო სერიოზულ გამოცდად იქცა უთანხმოება საფრანგეთთან. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ გენერალ დე გოლს საკუთარი, ვაშინგტონისგან კარდინალურად განსხვავებული, ხედვა ჰქონდა ევროპის უსაფრთხოებასა და, საერთოდ, ევროპის როლზე მსოფლიო პოლიტიკაში. ამიტომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საფრანგეთი გამოიყვანა ნატოს სამხედრო სტრუქტურიდან (მხოლოდ სამხედრო სტრუქტურიდან!). მიუხედავად არსებული უთანხმოებისა, ალიანსის საერთო მიზნები და ფასეულობები — მშვიდობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა — მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა ევროპის ქვეყნების განვითარებას არა მხოლოდ სამხედრო-თავდაცვით, არამედ სხვა სფეროებშიც: ალიანსში დასავლეთ გერმანიის მიღებით მოხდა ომის შემდგომი სიტუაციისათვის დამახასიათებელი ურთიერთრევანშიზმის (დამარცხებულები გამარჯვებულთა წინააღმდეგ და პირიქით) პარალიზება. ალიანსის შიგნით მიღებული ფასეულობები ხელს უშლიდა სახელმწიფოთა შორის დამანგრეველი კონკურენციისკენ დაბრუნებას. პარტიონიორებს შორის წარმოქმნილი უუთანხმოება შესაძლებელი იყო მოგვარებულიყო დიალოგისა და დისკუსიის გზით.

- აშშ-ის მიერ ევროპის ეკონომიკასა და თავდაცვის სფეროებში ჩადებულმა სამხედრო და ფინანსურმა რესურსებმა თავად ევროპელთა ტვირთი შეამსუბუქა. ამან ხელი შეუწყო დასავლეთი ევროპის ქვეყნების ეკონომიკის უფრო სწრაფ გაჯანსაღებასა და შემდგომ წინსვლას;
- იცავდა რა მაღალ დემოკრატიულ სტანდარტებს, ალიანსი ირიბად, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვნად, ხელს უწყობდა ინდივიდუალური უსაფრთხოების განმტკიცებას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში — ნატოს „ქოლგის“ ქვეშ ევროპელებს შეეძლოთ თავისუფლად განევითარებინათ საკუთარი იდეები საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ადამიანის უფლებებისა და სხვა საკითხებში.

ამ დროს „ცივი ომის“ ეპოქის გამყოფი ხაზის მეორე მხარეს — მოსკოვის მიერ კონტროლირებად აღმოსავლეთის ბლოკში ნელ-ნელა გროვდებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ხასიათის პრობლემები. 80-იანი წლების მეორე ნახევარში ამ პრობლემებმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ჯერ კიდევ შორეულ 1949 წელს ჯორჯ კენანი წერდა:

„...თუ მოხდება რაღაც, რაც დაარღვევს კომუნისტური პარტიის (სსრკ), როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის ერთიანობასა და ეფექტურობას, საბჭოთა რუსეთი ძალიან ძლიერი სახელმწიფოდან შეიძლება ერთ დღეში გადაიქცეს ძალიან სუსტ და საცოდავ სახელმწიფოდ“.

ჯორჯ კენანი იყო ერთ-ერთი პირველი ავტორთაგანი, რომელმაც შეამჩნია ახალი საფრთხეების წყაროები მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. მისმა დაკვირვებებმა, დასკვნებმა და პროგნოზებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დასავლეთის პოლიტიკის შემუშავებაში. კენანის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ასევე ზუსტი და წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

1. სსრკ-სა და აღმოსავლეთის ბლოკის დაშლა

კომუნისტური სისტემის დაშლა დაჩქარდა რეფორმების კურსით, კერძოდ, „პერესტროიკით“, რომელიც სსრკ-ს კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა 1985 წელს დაიწყო . რეფორმების გზით გორბაჩოვს განზრახული ჰქონდა საბჭოთა სისტემის მოდერნიზება და მისი სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივება. მაგრამ გარდაქმნის არქიტექტორს თვალთახედვიდან გამორჩა, რომ შეუძლებელია დემოკრატიის ტოტალიტარიზმთან გაერთიანება. და მაინც, გორბაჩოვის გეგმებმა და მცდელობებმა გზა გაუხსნა საზოგადოების ფართო ფენების ინიციატივებს. კომუნისტური სამყაროს მილიონობით მოქალაქემ დაიწყო კომუნისტური პარტიის ძალაუფლებასა და სამართლიანობაზე მონოპოლიის ეჭვქვეშ დაყენება და უარყოფა.

1989 წლის ხავერდოვანი რევოლუცია აღმოსავლეთ ევროპაში	
24 აგვისტო	*პირველი არაკომუნისტური ხელისუფლება პოლონეთში*
10 სექტემბერი	*უნგრეთი ხსნის თავის დასავლეთ საზღვარს*
3 ოქტომბერი	*აღმოსავლეთ გერმანიის მცხოვრებლების მასობრივი გაქცევა დასავლეთში*
23 ოქტომბერი	*უნგრეთის პარლამენტი იღებს დემოკრატიულ კონსტიტუციას*
8-9 ნოემბერი	*ბერლინის კედლის დაცემა*
20 ნოემბერი	*მასობრივი დემონსტრაციები აღმოსავლეთ გერმანიაში გერმანიის გაერთიანების მოთხოვნით*
7 დეკემბერი	*ჩეხოსლოვაკიაში სათავეში არაკომუნისტური ხელისუფლება მოვიდა*

1989 და 1990 წლებში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა არა მხოლოდ სსრკ-ში, არამედ აღმოსავლეთის ბლოკის სხვა კომუნისტურ ქვეყნებშიც. ტოტალიტარული სისტემის დაშლისგან მიღებულმა „დომინოს ეფექტმა“ გამოიწვია ისეთი ცვლილებები, რომელთა წარმოდგენაც შეუძლებელი იყო რამდენიმე თვით ან რამდენიმე კვირით ადრეც კი: 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში, პირველად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, 1990 წლის 3 ოქტომბერს გაერთიანდა გერმანია, 1991 წლის 1 ივნისს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ შეწყვიტა არსებობა (საინტერესოა, რომ არც ისე დიდი ხნის წინ, 1985 წლის მაისში, ვარშავის ხელშეკრულება გაგრძელდა კიდევ ოცი წლით!), 1991 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა კონსტიტუციურად დაამტკიცეს თავიანთი დამოუკიდებლობა, ხოლო 1991 წლის 25 დეკემბერს სსრკ დაიშალა.

მოვლენათა ასეთმა განვითარებამ გადაატრიალა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩვეული მსოფლიო წყობა. „ცივი ომის“ პერიოდის ორპოლუსიანი მსოფლიოს ერთ-ერთმა ძალოვანმა ცენტრმა — აღმოსავლეთის ბლოკმა დაკარგა თავისი ენერგია. კონფრონტაციის ხაზებმა ევროპაში დაკარგა თავისი მნიშვნელობა და „ცივი ომის“ ეპოქაც დასრულდა. 1990 წლის 21 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პარიზში, ახალი ევროპის შესახებ პარიზის ქარტიის ხელმოწერისას, განაცხადა: „ცივი ომი დასრულდა“.

თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ერთბაშად გაქრა ყველა პრობლემა, რომლიც დაგროვდა დაძაბულობით აღსავსე წლების განმავლობაში, და რომ „ცივი ომის“ დროინდელი მეტოქეობის ყოფილ სივრცეში უცებ გამეფდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ჰარმონია. ახალმა სიტუაციამ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი მათ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს უამრავი საზრუნავი გაუჩინა, ვინაიდან გაჩნდა ახალი პრობლემები და გამოწვევები. ეს მთლიანად ეხებოდა ნატოსაც. თუ „ცივი ომის“ პერიოდში ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაკებმა, ძალიან მაღალი რისკის ფასად მაინც მოახერხეს შედარებითი სტაბილურობისა და საერთაშორისო წესრიგის უზრუნველყოფა, ნატო და ევროპის ქვეყნები უამრავი უცნობი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, კერძოდ:

- როგორი უნდა იყოს უსაფრთხოების ახალი სისტემა, რა ადგილს დაიკავებენ მასში ახლად დამოუკიდებლობამიღებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და რუსეთი;
- როგორ უნდა დამყარდეს ურთიერთობები ყოფილ მოწინააღმდეგეთა შორის, როგორ უნდა შეიქმნას მათ შორის წონასწორობა;
- რა მოელის „ცივი ომის“ ინფრასტრუქტურას, შეიარაღებას, სამხედრო შენაერთებს, ბაზებს;
- როგორ უნდა დაიძლიოს „ცივი ომის“ ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა — აზროვნების სტილი და ჩვევები.

2. უსაფრთხოების „ნაცრისფერი ზონა“ ევროპაში

უსაფრთხოების ახალი გარემოს ერთ-ერთი პრობლემა დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-ის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი სახელმწიფოების მომავალთან (საგულისხმოა, რომ უმეტესობამ აღიდგინა დაკარგული დამოუკიდებლობა საბჭოური რეჟიმის დანგრევის შემდეგ). ეს საკითხი ითხოვდა გადაუდებელ გადაწყვეტას, რომელზედაც დიდად იყო დამოკიდებული უსაფრთხოების სიტუაცია მთლიანად ევროპაში. ყველა ზემოხსენებული სახელმწიფო, რომლმაც ასე სწრაფად მიიღო თავისუფლება, მალევე შეეჯახა ძალიან დიდ სიძნელეებს, რადგან მას უნდა განეხორციელებინა ღრმა და, გარკვეულ შემთხვევებში, საზოგადოებისათვის მტკივნეული რეფორმები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. შიდა ცვლილებები, ერთი მხრივ, მოითხოვდა დიდ დროს, ხოლო, მეორე მხრივ, არ იძლეოდა სწრაფი შედეგის მიღების პირობას. რეფორმები, განსაკუთრებით კი ეკონომიკაში (საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, პრივატიზაცია, ფინანსური რეფორმა, ცვლილებები საპენსიო სისტემაში), ითხოვდა მაღალი სოციალური ფასის გადახდას და ხშირად იწვევდა ისეთ უარყოფით გვერდით მოვლენებს, როგორიცაა:

- ეკონომიკური განვითარების ტემპის დაცემა ან შეჩერება;
- ცხოვრების დონის გაუარესება;
- უმუშევრობის მაღალი დონე;
- კრიმინალიზაცია და კორუფცია.

რეფორმების გაჭიანურებას ან წარუმატებლობას თან სდევდა საზოგადოების უკმაყოფილება, აპათია და რეფორმებზე უარის თქმაც კი, რასაც უცილობლად მოჰყვებოდა შიდა არასტაბილურობის ზრდა. ეს, თავის მხრივ, აღსავსე იყო ახალ სახელმწიფოთა ურთიერთგაუცხოებით, არაჯანსაღი კონკურენციის გამწვავებით და კამათით.

საფრთხის სერიოზული წყარო იყო აგრეთვე პოლიეთნიკური სიტუაცია, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში ისტორიულად ჩამოყალიბდა (ამ რეგიონის ქვეყნების უმრავლესობა მრავალეროვანია — იქ გვერდიგვერდ ცხოვრობენ ადგილობრივი და სხვა ეთნიკური ჯგუფები). ხანდახან რთული ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გამწვავება ხდებოდა ისტორიული წარსულის მძიმე მემკვიდრეობისა და დაგროვილი ურთიერთწყენის საფუძველზე. ტოტალიტარული მმართველობის წლებში ხელისუფლება ამის შესახებ დუმდა ან ძალით ახშობდა მას. ახალ გარემოში უთანხმოებამ თავი იჩინა და მრავალ ადგილას გადაიზარდა შეურიგებელ, აგრესიულ ნაციონალიზმში. ეს კი, თავის მხრივ, სერიოზული, ხანგრძლივი და სასტიკი ეთნიკური კონფლიქტების წინაპირობას ქმნიდა.

90-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში ჩამოყალიბდა დაძაბულობისა და კონფლიქტის რამდენიმე ზონა: კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია), მოლდოვაში (დნესტრისპირეთი) და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი სახელმწიფოები).

ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებმა წარმოქმნა პირობითი რეგიონი, რომელსაც ერთი მხრიდან ესაზღვრებოდა ნატოს წევრი ქვეყნები, ხოლო მეორე მხრიდან — რუსეთი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ). ამ ტერიტორიამ მიიღო ზუსტი გეოპოლიტიკური აღნიშვნა — **უსაფრთხოების „ნაცრისფერი ზონა“**.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, „ნაცრისფერი ზონის“ სახელმწიფოებს გაუჩნდათ საკმაოდ გრძელი საერთო საზღვარი ნატოსთან. კონფლიქტის ზოგიერთი პოტენციური კერა (განსაკუთრებით ბალკანეთში) ასევე აღმოჩნდა უშუალო სიახლოვეში ნატოს წევრი სახელმწიფოების საზღვრებთან. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ დადგა არჩევანის წინაშე – ემოქმედა ახალი გამოწვევების შესაბამისად, ან მოვლენები თავისი დინებით მიეშვა.

3. ნატო რჩება, იცვლება და მოქმედებს

„ცივი ომის“ დასრულებამდე, 1982 წელს, ნატოს ისტორიაში მოხდა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც გარკვეულწილად დაასრულა მნიშვნელოვანი ეტაპი ალიანსის ცხოვრებაში, კერძოდ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შეუერთდა დასავლეთ ევროპის ქვეყანა — ესპანეთი, რომლის ნატოს ოჯახში დაგვიანებით მიღება ქვეყნის შიგნით არსებულმა არადემოკრატიულმა ვითარებამ განაპირობა.

ათწლეულების განმავლობაში ნატო იცავდა თავისი წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას, რამაც უფრო მიმზიდველი გახადა მისი წევრობა სხვა ქვეყნებისათვის.

„ცივი ომის“ პერიოდის დასრულების, სსრკ-ისა და მთლიანად აღმოსავლეთ ბლოკის დაშლის შემდეგ, თითქოსდა გაქრა ნატოს ძირითადი ამოცანაც — ყოფილიყო დასავლეთის კოლექტიური უსაფრთხოების საყრდენი სსრკ-ისგან მომდინარე შესაძლო საფრთხის წინააღმდეგ. 1990-1991 წლების დისკუსიებში ნატოს მომავლის შესახებ წარმოდგენილ იქნა ყველა შესაძლო წინადადება,

ნატოს პარტნიორი ქვეყნები				ხმელთაშუაზღვის დიალოგის ქვეყნები
ავსტრია		სერბეთი		ალჟირი
აზერბაიჯანი		სომხეთი		ეგვიპტე
ალბანეთი		ტაჯიკეთი		იორდანია
ბელორუსია		უზბეკეთი		ისრაელი
ბოსნია და ჰერცოგოვინა		უკრაინა		მავრიტანია
თურქმენეთი		ფინეთი		მაროკო
ირლანდია		ყაზახეთი		ტუნისი
მაკედონია		ყირგიზეთი		
მოლდოვა		შვედეთი		
მონტენეგრო		შვეიცარია		
რუსეთი		ხორვატია		
საქართველო				

ალიანსის გაუქმების რჩევის ჩათვლითაც კი, ვინაიდან მან უკვე შეასრულა თავისი ისტორიული მისია. ზოგიერთი თვლიდა, რომ აშშ-ის როლი ევროპული უსაფრთხოების სისტემაში ზედმეტად დიდი გახდა. შემოთავაზებული იყო ნატოს ფუნქციების გადაცემა ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ან დასავლეთ ევროპის კავშირი. სიტუაცია ნატოს წევრი ქვეყნებისგან მოითხოვდა ალიანსის არსებობისა და ფუნქციონირების ძირითადი საკითხების ხელახლა გადახედვას. უნდა განესაზღვრათ:

- პოტენციურ საფრთხეთა წყაროები ახალ გარემოში;
- როგორ უნდა გაეგრძელებინათ შემდგომი ურთიერთობები რუსეთთან, რომელიც წარმოადგენდა ყოფილი მოწინააღმდეგის – სსრკ-ის მემკვიდრეს, ასევე ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სხვა ქვეყნებთან;
- როგორი უნდა ყოფილიყო ალიანსის სტრუქტურა, მართვის სისტემა, სამხედრო პოტენციალი და შესაძლებლობები;
- რა იქნებოდა ნატოს მოქმედების ზონა — მონაწილეთა წრე დარჩენილიყო უცვლელი (1990 წელს ნატოს შემადგენლობაში შედიოდა დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის 16 სახელმწიფო), თუ ორგანიზაცია უნდა გაფართოებულიყო.

ამდენი სერიოზული პრობლემის არსებობა ნიშნავდა, რომ საჭირო იყო სიტუაციის დეტალური ანალიზი და **ალიანსის ახალი სტრატეგიის** შემუშავება, რომელიც განსაზღვრავდა მომავალ ამოცანებსა და ნატოს პოლიტიკას. ასეთი სტრატეგია მუშავდებოდა თანდათანობით, უსაფრთხოების ახალ სიტუაციასა და გარემოსთან შეგუების კვალდაკვალ, ახლად აღმოცენებული საერთაშორისო პრობლემების გათვალისწინებით. ახალი ძირითადი მიმართულებების შემუშავება

ენაცვლებოდა მათ რეალიზაციას, რაც გაგრძელდა ათი წლის მანძილზე. ცვლილებათა პროცესმა მიიღო საერთო სახელწოდება — ნატოს **ტრანსფორმაცია** (გარდაქმნა).

ძირითადი გადაწყვეტილებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ცვლილებებს ნატოში, შემუშავდა და მიღებულ იქნა ალიანსის მთავარი ინსტიტუტის — ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ ელჩების, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებისა და სახელმწიფოს მეთაურების დონეზე. ამ გადაწყვეტილებათა მოკლე მიმოხილვა კარგად ასახავს ნატოს შიგნით მიმდინარე ცვლილებების შინაარსსა და მიმართულებას „ცივი ომის" დასრულების შემდგომ პერიოდში.

1990 წელს ლონდონში გამართულ ნატოს სამიტზე მიღებულ იქნა ლონდონის **დეკლარაცია** ჩრდილოატლანტიკური კავშირის გარდაქმნის შესახებ. ის მოიცავდა წინადადებებს თანამშრომლობის განვითარებაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამხედრო და სხვადასხვა პოლიტიკურ სფეროში, ამავდროულად ითვალისწინებდა მუდმივ დიპლომატიურ კავშირს ამ ქვეყნებსა და ნატოს წევრ-ქვეყნებს შორის.

1991 წელს რომში გამართულ ნატოს სამიტზე ალიანსმა მიიღო **სტრატეგიული კონცეფცია.** ადასტურებდა რა თავის მზადყოფნას, შემდგომშიც დაეცვა ჩრდილო- ატლანტიკური ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოება, ალიანსმა ამ დოკუმენტით განსაზღვრა მოკავშირეთა მიზნები და ამოცანები ახალ სიტუაციაში:

1) უსაფრთხოების უფრო ფართო განმარტება, რომელიც ხაზს უსვამდა თანამშრომლობისა და დიალოგის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან;
2) ნატოს სამხედრო პოტენციალის შემცირება და მისადაგება კრიზისული სიტუაციების დაძლევის ამოცანასთან, მასობრივი აგრესიის საფრთხის თავიდან აცილებაზე ზრუნვის ნაცვლად;
3) ნატოს ევროპელი მოკავშირეების (წევრების) მიერ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მეტი პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობა.

ნატოს სტაბილიზაციის ძალები ბოსნია-ჰერცოგოვინაში

რომის სამიტის გადაწყვეტილებით შეიქმნა **ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, რომელიც 1997 წლიდან გადაკეთდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოდ**. ამჟამად მასში მონაწილეობს ნატოს 26 წევრი და 23 პარტნიორი სახელმწიფო. ევროატლანტიკური პარტნიორების საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა საქართველო, პარტნიორთა რიცხვში შედიან რუსეთი და ტრადიციულად ნეიტრალური სახელმწიფოებიც — შვეიცარია და შვედეთი, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნები — სომხეთი და აზერბაიჯანი, ასევე, ნატოს უშუალო ინტერესთა ზონის მიღმა არსებული სახელმწიფო — ტაჯიკეთი. ახალი საბჭოს მიზანი იყო, ხელი შეეწყო ნატოსა და პარტნიორებს შორის ფართო თანამშრომლობის განვითარებისათვის. საბჭოს შექმნა ადასტურებდა, რომ ალიანსი უარს ამბობდა უწინდელ დაყოფაზე მეგობრებად და მტრებად, რაც მას ახასიათებდა ცივი ომის პერიოდში.

1994 წელს ბრიუსელში გამართულ ნატოს მორიგ სამიტზე ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გამყარების მიზნით, დაიწყო ახალი პროგრამა — **„პარტნიორობა მშვიდობისათვის“.** ამჟამად ამ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს 23 სახელმწიფო, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრებს. პარტნიორობის მიზანია ნატოს, ევროპის სხვა ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ნდობის გაღრმავებით ევროპის ქვეყნებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცება.

პარტნიორობა გულისხმობს ალიანსსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის დიალოგსა და პარტნიორობას თავდაცვისა და სამხედრო საკითხებში. აღსანიშნავია რომ, თავდაპირველად პარტინიორობის ინსტრუმენტი შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკებთან დაახლოებისა და ნდობის აღდგენის მიზნით, შემდგომ ამ ინსტრუმენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რეფორმების სტიმულირებაში. დროთა განმავლობაში, პარტინიორობამ განიცადა საგრძნობი ტრანსფორმაცია და მასში აღმოჩნდენენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები.

გეოგრაფიულად ნატოს პარტნიორული კავშირები მოიცავს არა მხოლოდ ევროპის, არამედ ცენტრალური აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ახლო აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს. რიგაში გამართული ნატოს სამიტის შემდეგ გააქტიურდა ალიანსის კავშირები შორეულ პარტნიორებთან: ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასა და იაპონიასთან. ნატოს პარტნიორები არიან ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, ევროკავშირი. პარტნიორობა გულისხმობს არა მხოლოდ დიალოგს, არამედ პრაქტიკულ თანამშრომლობასაც რეფორმების გატარების, ერთობლივი წვრთნებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის განხორციელებულ მისიებში მონაწილეობის კუთხით.

1997 წელს მადრიდში გამართულ სამიტზე მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, **დაწყებულიყო ალიანსის გაფრთოება აღმოსავლეთის მიმართულებით.** მიწვევა ნატოში გაწევრიანების შესახებ მიიღო ყოფილი ვარშავის ბლოკის პირველმა სამმა სახელმწიფომ — უნგრეთმა, პოლონეთმა და ჩეხეთმა. იმავე დროს, ალიანსმა დაადასტურა, რომ „ღია კარის“ პრინციპი იმოქმედებდა სხვა დაინტერესებული სახელმწიფოებისთვისაც. ეს წარმოადგენდა გარანტიას, რომ გაფართოების პროცესი გაგრძელდებოდა მომავალშიც. იმავე დროს მადრიდში ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ნატო დაინტერესებული იყო რუსეთთან უფრო ღრმა თანამშრომლობით. ამის დასტური გახდა ნატოსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი ფუძემდებელი აქტი და ერთობლივი მუდმივი საბჭოს შექმნა.

1999 წელს ვაშინგტონში გამართული სამიტი, პირველ რიგში, საინტერესოა იმ კუთხით, რომ იგი დაკავშირებული იყო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერის 50-ე წლისთავთან და აგრეთვე ის წარმოადგენდა უკვე წარმავალი ასწლეულის უკანასკნელ სამიტს. ორივე გარემოებამ ხელი შეუწყო ისტორიული გამოცდილების ფართო ანალიზს და შეფასების ჩატარებას. მეორე – ვაშინგტონში სამი ახალი მოკავშირე — უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი, ოფიციალურად გახდა ალიანსის წევრი. იმისათვის, რომ უფრო მიზანმიმართულად მოემზადებინათ დანარჩენი წევრობის კანდიდატი ქვეყნები გაფართოების შემდეგი რაუნდისთვის, სამიტზე მხარი დაუჭირეს და აამოქმედეს განსაკუთრებული პროგრამა — **ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა.** მესამე – სამიტის მუშაობის დრო დაემთხვა ნატოს მიერ ბალკანეთში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას, რომლის მიზანი იყო კოსოვოს კრიზისის დარეგულირება. დაბოლოს, ვაშინგტონში დამტკიცდა ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელშიც განსაზღვრული იყო ალიანსის ამოცანები XXI საუკუნეში. ამ ამოცანებმა მოკავშირეთა ყურადღება გაამახვილა ახალ რისკ-ფაქტორებსა და ახალ საფრთხეებზე ევროატლანტიკურ სივრცეში:

- მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება;
- პოლიტიკური მმართველობის დაშლა არშემდგარ სახელმწიფოებში და ამის შემდგომ წარმოქმნილი საფრთხეები;
- ეთნიკური კონფლიქტები;
- ეკონომიკური კრიზისი;
- ადამიანის უფლებათა დარღვევა.

1999 წლის 23 აპრილი, ვაშინგტონის სამიტი.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მომდევნო სამიტი ჩატარდა 2002 წელს პრაღაში. სამიტამდე მსოფლიოში ადგილი ჰქონდა ახალ შემაშფოთებელ მოვლენებს. 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ტერორისტების მიერ განხორციელებულმა თავდასხმამ ალიანსი, მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, პირველად აიძულა აემოქმედებინა ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების მე-5 მუხლი. ამგვარად, ნატოს საპასუხო ქმედებები უნდა მიმართულიყო სრულიად ახალი ტიპის საფრთხის წინააღმდეგ. პრაღაში, შვიდი ახალი სახელმწიფოს: ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვაკეთის და სლოვენიის ალიანსში მიწვევით, გაფართოების შემდეგი რაუნდი დაიწყო. ამ ჯგუფში აღმოჩნდნენ ცივი ომის პერიოდში სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნებიც. მათი მიწვევა ნიშნავდა ნატოს რუსეთის საზღვრებთან უშუალოდ მიახლოებას.

ნატოს რეაგირების ძალები

პრაღის სამიტზე თავდაცვის სტრატეგიაში შეიტანეს ცვლილებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალი ტიპის საფრთხეების აღკვეთასთან დაკავშირებულ სფეროებს: ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, სამოქალაქო თავდაცვის გაუმჯობესება მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ. უფრო ადრე, 2002 წლის სექტემბერში აშშ-ის თავდაცვის მინისტრმაDდონალდ რამსფელდმა წამოაყენა ინიციატივა, შექმნილიყო ნატოს ე.წ. **რეაგირების ძალები (NRF-NATO Response Force)**. ეს ინიციატივა გაცხადდა 2002 წლის ნოემბრის პრაღის სამიტზე, რომელიც მზად 2006 წლისთვის უნდა ყოფილიყო.

ამავე სამიტზე, საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ნატო-ში გაწევრიანებისაკენ სწრაფვის შესახებ გააკეთა განცხადება და სურვილი გამოთქვა ახალ პროგრამაში - „ინდივიდულური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ - მონაწილეობის მიღების თაობაზე.

2004 წელს სტამბოლში გამართულ სამიტზე ძირითადად ყურადღება დაეთმო ალიანსის როლს მისი პასუხისმგებლობის ზონის მიღმა განხორციელებულ მისიებში. სტამბოლში მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ნატოს სტრუქტურასთან დაკავშირებით — შეიქმნა ახალი სარდლობა ნატოს ერთიანი შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციისათვის. ყურადღება გამახვილდა სხვა

პროგრამებზეც, რომლებიც ეხებოდა სამხედრო პოტენციალისა და თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდას ახალი საფრთხეების, პირველ რიგში კი საერთაშორისო ტერორიზმის ფონზე. ამავე მიზანს ემსახურებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის პარტნიორული კავშირების გაფართოება და გამყარება. სამიტზე 2002 წელს მოწვეული 7 ქვეყანა ოფიციალურად გახდა ნატოს წევრი.

2006 წლის შემოდგომაზე რიგაში გაიმართა ნატოს სამიტი, რომელიც პირველად ჩატარდა „ცივი ომის“ პერიოდში სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. რიგის სამიტზე ალიანსმა დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში მთავარი საფრთხეები დაკავშირებული იქნება:

- საერთაშორისო ტერორიზმთან;
- მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან;
- რეგიონულ კრიზისულ სიტუაციებთან;
- სუსტ სახელმწიფოებში მმართველობის სისტემის დაშლასთან;
- ახალი ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებასთან;
- სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსების მიწოდების დარღვევასთან.

ეს სამიტი გამოირჩეოდა იმით, რომ ყურადღება დაეთმო ალიანსის ტერიტორიის მიღმა მიმდინარე ოპერაციებსა და მისიებში მონაწილეობის საკითხს. რიგის სამიტის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ალიანსის პრიორიტეტული ამოცანა იქნებოდა ავღანეთში აღორძინებისა და განვითარების პროცესის მხარდაჭერა. სამიტზე გაკეთდა განცხადება, რომ **რეაგირების ძალები (NRF-NATO Response Force)**, სრულ სამხედრო მზადყოფნაშია და მისი შემადგენლობა 25 000-მდე გაიზრდება.

რიგაში ნატოს ქვეყნების ხელმძღვანელი პირები შეთანხმდნენ, რომ გაეგრძელებინათ ალიანსის გაფართოება კანდიდატების მიერ წევრობისთვის აუცილებელი კრიტერიუმების შესრულების საფუძველზე. პოტენციურ კანდიდატთა შორის დასახელდა ალბანეთი, ხორვატია და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა – მაკედონია, რომლებიც გაწევრიანების სამოქმედო გეგმას (MAP) ახორციელებენ. ხაზი გაესვა საქართველოს მისწრაფებას ალიანსში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

ნატოს ფარგლებში მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ იცვლება ალიანსის მიზნები და მეთოდები ახალ რეალიებში:

- ყოფილი მეტოქეები მიწვეულნი არიან პარტნიორებად
  და ხდებიან ნატოს სრულუფლებიანი წევრები;
- კონფრონტაციის ნაცვლად — ფართო თანამშრომლობა;
- მონაწილეთა შეზღუდული წრის ნაცვლად – „ღია კარის“ პრინციპი;
- საფრთხეთა აღკვეთასთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა მათ პრევენციას;
- „ცივი ომის“ დროინდელ საფრთხეთა ნაცვლად ხდება
  ახალი რისკებისა და გამოწვევების ანალიზი.

ნატოს ტრანსფორმაციისა და გაფართოების პროცესმა მნიშვნელოვნად გაზარდა ორგანიზაციის პასუხისმგებლობა როგორც პოლიტიკური, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისით. დღეს, წევრი სახელმწიფოების უშუალო დაცვის ამოცანის გარდა, იზრდება ნატოს, როგორც სტაბილურობის ფაქტორის როლი მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში.

4. თანამედროვე გამოწვევები

90-იანი წლებიდან დღემდე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და პროცესები ჩვენ თვალწინ ყალიბდება და იცვლება. გლობალიზაციის პირობებში ამ ცვლილებების ტემპი და მასშტაბები ძალიან მაღალია. რა თქმა უნდა, ახალი მოვლენები გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზეც. გლობალიზაციამ სარგებელთან ერთად მოიტანა ახალი პრობლემები მსოფლიო თანამეგობრობისთვის. ამ პრობლემებს ეწოდება **თანამედროვე (ახალი) გამოწვევები ანუ საფრთხეები**.

მათ შორის ყველაზე მეტ შეშფოთებას იწვევს: მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, შეიარაღებული (*ძალისმიერი*) რეგიონული კონფლიქტები, საერთაშორისო ტერორიზმი, ბუნებრივი გარემოს შეცვლით და რესურსების უკმარისობით გამოწვეული ეკოლოგიური საფრთხეები, ორგანიზებული დანაშაული, ეკონომიკის ვარდნა და სხვ. ყველა ზემოხსენებული საფრთხე განიხილება და მუდმივად ფიგურირებს ნატოს დღის წესრიგში.

შეიარაღებული კონფლიქტები

ბოლო ათწლეულების მანძილზე სამხედრო კონფლიქტების ხასიათი შეიცვალა. მართალია, სახელმწიფოთაშორისი შეტაკებების რიცხვმა იკლო, მაგრამ გაიზარდა ქვეყნების შიდა კონფლიქტების რაოდენობა, მაგალითად, სამოქალაქო ომები, შეიარაღებული აჯანყებები, სეპარატისტული მოძრაობები. სამხედრო კონფლიქტების მსოფლიო სტატისტიკა აჩვენებს, რომ 1989 წლიდან 1996 წლამდე 101 შეიარაღებული კონფლიქტიდან 95 ქვეყნის შიდა უთანხმოებების შედეგად მოხდა. ეს ტენდენცია გრძელდება ახალი ათასწლეულის დასაწყისშიც.

თანამედროვე კონფლიქტების მიზეზები აღარ არის იდეოლოგიური ან ტერიტორიულ-დამპყრობლური; ისინი უფრო დაკავშირებულია იდენტურობის მოტივებთან, ანუ გარკვეულ ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ კუთვნილებასთან. 1997 წლიდან 2003 წლამდე 34-ზე მეტი დიდი შეტაკებიდან 31 დაკავშირებული იყო იდენტურობასთან (ჩეჩნეთი, ქაშმირი, შრი-ლანკა, კოსოვო, სუდანი და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ძნელია ჯგუფთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების ერთმანეთისგან გაყოფა. მაგალითად, 1999 წლის კოსოვოს კრიზისი შეიძლება განვიხილოთ, როგორც შიდა კონფლიქტი. ამავე დროს, ძირითადი სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ნატოს შორის.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ შიდა კონფლიქტების პირობებში ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად (ეთნიკური წმენდა ბალკანეთში, გენოციდი რუანდაში, კონფლიქტი სუდანის პროვინცია დარფურში) დადგა საერთაშორისო საზოგადოების ჩარევის აუცილებლობა. ასეთ ჩარევას ეწოდება **ჰუმანიტარული ინტერვენცია**, რომლის მიზანია ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევის შეჩერება.

დღეისათვის მწვავე დისკუსიების თემაა — როგორ შევუთავსოთ ჰუმანიტარული ინტერვენციის აუცილებლობა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპს — ცალკეული სახელმწიფოს სუვერენიტეტს. სუვერენიტეტი, თავის მხრივ, კრძალავს სახელმწიფოს შიდა საქმეებში ნებისმიერი სახის ჩარევას.

დილემას წარმოადგენს, თუ რა არის უფრო მნიშვნელოვანი: სახელმწიფოს სუვერენიტეტი თუ მილიონობით ადამიანის უფლებებისა და სიცოცხლის დაცვა, რასაც, ამავე სუვერენიტეტის მოშველიებით არღვევდა რომელიმე ტოტალიტარული ხელისუფლების სასტიკი რეჟიმი?

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება

სამწუხაროდ, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება ყველგან და ყოველთვის არ ემსახურება ადამიანის კეთილდღეობასა და ბედნიერებას. ცალკეული გამოჩენილი ჰუმანისტები ზოგჯერ ორმაგი გამოყენების ტექნიკურ პროგრესს ეჭვის თვალითაც კი უყურებდნენ. დიდმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ დემონსტრატიულად განაცხადა უარი ნობელის პრემიაზე. მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში სახელგანთქმული რომანისტის რწმენით, „დინამიტით ნაშოვნი ფულით“ არ შეიძლებოდა სიკეთის კეთება. იგი ნობელის გამდიდრების წყაროზე – დინამიტის აღმოჩენაზე მიანიშნებდა. და მაინც, მეცნიერებისა და ტექნიკის შეჩერება შეუძლებელია და მასობრივი განადგურების იარაღის არსენალი დღითიდღე მდიდრდება.

რიგით ადამიანს შეიძლება ისე მოეჩვენოს, რომ მასობრივი განადგურების იარაღის კვალიფიკაცია „ახალ გამოწვევად“ გაუმართლებელია – ქიმიური იარაღი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში გამოიყენებოდა, ხოლო ბირთვული იარაღის შექმნიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა. საქმეც ის გახლავთ, რომ პირველ მსოფლიო ომში გამოყენებული მომწამლავი გაზები, დღევანდელ ქიმიურ იარაღს თუ შევადარებთ, თანამედროვე სანთებელებში გამოყენებული აირია, ხოლო ხიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბი „პაწაწინა“ (ასე უწოდეს ამერიკელებმა ბომბს) საახალწლო სატკაცუნაა მსოფლიოს წამყვანი ბირთვული სახელმწიფოების არსენალში არსებულ იარაღთან შედარებით.

ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელება არღვევს ბირთვული იარაღის ფლობაზე მონოპოლიის იმ ბალანსს, რომელიც შეიქმნა იმ პერიოდში. „ცივი ომის“ პერიოდში მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც წარმოუდგენელი რაოდენობით დაგროვდა, მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოების (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი) განკარგულებაში იყო და მკაცრად კონტროლდებოდა.

დღეისათვის სიტუაცია შეიცვალა. ოფიციალურად ბირთვულ სახელმწიფოებად ცნობილი ქვეყნების (იხ. ზედა ჩამონათვალი) გარდა, გამოჩნდა ქვეყნების ჯგუფი (ინდოეთი, პაკისტანი, ისრაელი), რომელთაც გააჩნიათ ასეთი ტიპის იარაღი, თუმცა ფორმალურად არ არიან აღიარებულნი ბირთვულ სახელმწიფოებად. არსებობს ეჭვი, რომ ზოგიერთი სახელმწიფო (ჩრდილოეთ კორეა, ირანი) საიდუმლოდ ფლობს ან აქტიურად მუშაობს ბირთვული იარაღისა და მისი გადატანის საშუალებების შექმნის პროგრამაზე.

აღნიშნული პრობლემა მეტად სახიფათოა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1. სარისკოა ბირთვული იარაღის ჩავარდნა უპასუხისმგებლო დიქტატორული რეჟიმის ხელში, რომელიც კონფლიქტშია მეზობელ ქვეყნებთან, ან ამ ქვეყანაში არსებობს შიდა პრობლემები და არასტაბილურობა.
2. ეჭვს იწვევს ბირთვული იარაღის ახალი მფლობელების შესაძლებლობები, შესაბამის რეჟიმში შეინახონ წარმოების ტექნოლოგიები და ამ იარაღის არსენალი. ამასთან, იზრდება ბირთვული იარაღის და მასთან დაკავშირებული მასალების შემდგომი გავრცელების რისკი.

ბირთვული იარაღის გარდა, უფრო მეტ საშიშროებას იწვევს სხვა ტიპის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების რისკი.

ბიოლოგიური იარაღი — იარაღი, რომლის შემადგენლობაში შედის ნივთიერებები (ბაქტერიები ან ვირუსები), რომელიც იწვევს საშიშ ეპიდემიებს. ბიოლოგიურ იარაღს გააჩნია ზიანის მიყენების ძალიან დიდი ძალა იმ ნივთიერებების წყალობით, რომლებიც მის შემადგენლობაში შედის, სწრაფად მრავლდება და ვრცელდება.

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება მსოფლიოში 2007 წ.



ბირთვული იარაღის გავრცელება

- ქვეყნები, რომლებიც დეკლარირებულად ფლობენ ბირთვულ იარაღს
- ქვეყნები, რომლებიც ფლობენ ბირთვული იარაღის და არ ითვლებიან ბირთვულ სახელმწიფოებად
- ქვეყნები, რომლებიც შესაძლოა ფარულად ფლობენ ბირთვულ იარაღს
- ქვეყნები, რომლებიც შესაძლოა საიდუმლოდ მუშაობენ ბირთვული იარაღის შექმაზე

ბიოლოგიური იარაღის გავრცელება

- ქვეყნები, რომლებიც შესაძლოა ფლობენ ბიოლოგიურ იარაღს
- ქვეყნები, სადაც შესაძლოა მუშაობენ ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე

ქიმიური იარაღის და რაკეტების გავრცელება

- ქვეყნები, რომლებსაც შესაძლოა ქონდეთ არადეკლარირებული ქიმიური იარაღი
- ქვეყნები, სადაც შესაძლოა მუშაობენ ქიმიური იარაღის შექმნაზე
- ბალისტიკური რაკეტები, რომელთა მოქმედების რადიუსი 1000 კილომეტრს აღემატება

წყარო: © Carnegie Endowment for International Peace, www.proliferationnews.org

ქიმიური იარაღი — ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც სასიკვდილოდ აზიანებს ადამიანებსა და ცხოველებს, ან იწვევს მათ დროებით უმოქმედობას, ამასთანავე, აყენებს გამოუსწორებელ ზიანს მათ ჯანმრთელობას. მასობრივი განადგურების იარაღის ეს ტიპები განსაკუთრებით საშიშია მათი დამზადების შედარებით მარტივი ტექნოლოგიის გამო. ასევე ძნელი არ არის მათი გადატანა და გამოყენება; მაგალითად, ქიმიური იარაღის დამზადებისათვის საჭირო კომპონენტები შედარებით იაფია და ხელმისაწვდომი. ბევრი მათგანი გამოიყენება სამოქალაქო დარგებში მედიკამენტების წარმოებისათვის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სასუქებისათვის და სხვ. გარდა ამისა, მომწამლავი ქიმიური შენაერთების მომზადების რეცეპტები შედარებით ადვილად ხელმისაწვდომია ინტერნეტისა და სხვა სახელმძღვანელოების მეშვეობით. ნატოს მონაცემების თანახმად, დღეისათვის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი გააჩნია 25-ზე მეტ ქვეყანას.

კიბერნეტიკული საფრთხე — უფრო თანამედროვე საფრთხეა, რომელიც იშვა გლობალიზაციის შედეგად. კიბერშეტევის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოების მართვის ელექტრონული სისტემების დაზიანება და მათი წყობიდან გამოყვანა. თავდასხმის შედეგად შეიძლება დაზიანდეს როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მმართველობის სისტემები.

ტერორიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმი ასწლეულებს ითვლის, იგი სრულიად საფუძვლიანად ითვლება „ახალ გამოწვევად“. უბრალოდ, თუ ადრე, როგორც წესი, მისი სამიზნე კონკრეტული პიროვნებები იყვნენ (ძირითადად მონარქები და პოლიტიკოსები), თანამედროვე ტერორიზმის სამიზნეს (სულ უფრო და უფრო მზარდი თანმიმდევრობითA და ფანატიკური დაუნდობლობით) მშვიდობიანი მოსახლეობა წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეს „ბუნებრივიცაა“, ვინაიდან თანამედროვე ტერორისტებისთვის უკვე ნაკლებად მიმზიდველი მსხვერპლია ესა თუ ის პოლიტიკური მოღვაწე, რომლის შეცვლით, უმეტეს შემთხვევაში, პოლიტიკური ეფექტი არცთუ შთამბეჭდავია. ცათამბჯენების დანგრევა, ხალხმრავალ ადგილებში „ცოცხალი“ ბომბების აფეთქება და ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა სულ სხვა რეზონანსს იძენს. თანამედროვე ტერორიზმის მიზანია, შექმნას რაც შეიძლება მეტი ქაოსი და პანიკა, დანერგოს შიში. ამიტომ ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ ჩაიგდებს რა ხელში ასეთ იარაღს, ტერორისტული ორგანიზაცია უმალ შეეცდება, გამოიყენოს იგი თავისი მიზნების მისაღწევად.

სახელმწიფოებისათვის ძნელია ტერორიზმთან ბრძოლა, რადგან:

1) ტერორიზმს, როგორც საფრთხეს, ხშირად არ გააჩნია კონკრეტული მისამართი. ტერორიზმისათვის არ არსებობს საზღვრები; მას შეუძლია შეაღწიოს და დააზიანოს საზოგადოების ან ცალკეული ადამიანის ცხოვრების ნებისმიერი სფერო. კავშირისა და ტრანსპორტის გლობალური ქსელის, აგრეთვე სახელმწიფოების ფართო გახსნილობის გამოყენებით, ტერორისტული საფრთხე ვრცელდება მთელ მსოფლიოში;

2) ტერორიზმი ინიღბება და კარგად ერგება გარემოებებს. თავისუფლებაზე, სამართლიანობასა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაზე ამაღლებული ლოზუნგით, ტერორისტებს ხშირად შეცდომაში შეჰყავთ მსოფლიო თანამეგობრობა. ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობის გაღვივებით ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის შეურიგებელი მტრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

3) ტერორისტების ტაქტიკა არაპროგნოზირებადია. მათი ქმედებები მცირედითაც კი არ არის დამძიმებული პასუხისმგებლობის გრძნობით. ისინი იცავენ პრინციპს- „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ძალიან ძლიერ სახელმწიფოებსაც კი უძნელდებათ ეფექტური საპასუხო ზომების დაგეგმვა, რადგან ხშირ შემთხვევაში ტერორისტული თავდასხმის მიზანი, დრო და საშუალება არაპროგნოზირებადია.

საერთაშორისო ტერორიზმის მხრიდან ყველაზე დიდი გამოწვევა იყო 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ზე განხორციელებული თავდასხმა. ზესახელმწიფოს სამხედრო ძალა და მისი უსაფრთხო გეოპოლიტიკური მდებარეობა ვერ იქცა წინაღობად ტერაქტის განხორციელებისათვის. ამ გამოწვევამ შეარყია ზესახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემის საფუძველი და აიძულა იგი გადაეხედა საკუთარი სტრატეგიისათვის.

2001 წლის შემდეგ ტერორისტული თავდასხმების სისხლიან სიას დაემატა მადრიდი, კუნძული ბალი, მოსკოვი, ლონდონი, ბესლანი, აფეთქებების დაუსრულებელი სისხლიანი სერიები ერაყსა და ავღანეთში.

დოკუმენტები და წყაროები

1. აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ 1987 წლის 12 ივნისს ბერლინში ბრანდერბურგის კარიბჭესთან წარმოთქმული სიტყვა:

„არის თუ არა ის, რაც ახლა ხდება, მნიშვნელოვანი ცვლილებების დასაწყისი საბჭოთა ქვეყანაში? თუ ეს მხოლოდ მოჩვენებითი ჟესტებია, რომელთა მიზანია დასავლეთში მცდარი იმედების ჩასახვა, რათა შემდეგ უცვლელად გამყარდეს საბჭოთა სისტემა?

ჩვენ მივესალმებით ცვლილებებსა და გახსნილობას, რადგან გვწამს, რომ თავისუფლება და უსაფრთხოება ურთიერთკავშირშია და რომ მშვიდობა დედამიწაზე შეიძლება გავამყაროთ მხოლოდ ადამიანის თავისუფლების წახალისებით. არის ერთი ნიშანი, რომელიც საბჭოთა კავშირს შეუძლია აჩვენოს და რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანწილად ხელი შეეწყო თავისუფლებისა და მშვიდობისათვის.

გენერალურო მდივანო გორბაჩოვო, თუ თქვენ ისწრაფვით მშვიდობისაკენ, თუ თქვენ გსურთ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის აყვავება, თუ თქვენ გსურთ თავისუფლება — მოდით აქ, ამ კარიბჭესთან! ბატონო გორბაჩოვო, გახსენით ეს კარიბჭე! ბატონო გორბაჩოვო, დაანგრიეთ ეს კედელი!

წყარო: http://www.ronaldreagan.com/sp_11.html

2. ნატოს სტრატეგიული კონცეფციიდან, 1991 წლის 8 ნოემბერი:

„ის გამოწვევები და რისკები, რომლებსაც ახლა ნატო აწყდება, თავისი ბუნებით განსხვავდება წარსული საფრთხეებისგან. ნატოზე ფართომასშტაბიანი თავდასხმის შესაძლებლობა გამორიცხულია და იგი მოკავშირეთა სტრატეგიის ყურადღების ცენტრშიც აღარ არის.

წარსულის საფრთხეთაგან განსხვავებით, დღეს არსებული რისკი უფრო მრავალფეროვანია და, ვინაიდან ის მომდინარეობს სხვადასხვა მხრიდან, მისი პროგნოზირება და შეფასებაც უფრო ძნელია.

ალიანსის უსაფრთხოების რისკი ნაკლებად არის დაკავშირებული მოკავშირეთა ტერიტორიაზე წინასწარ დაგეგმილ თავდასხმასთან. საფრთხეები უფრო გამოწვეულია იმ არასტაბილურობიდან, რომელსაც წარმოშობს სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სირთულეები, მათ შორის ტერიტორიულ და ეთნიკურ საკითხებზე უთანხმოებები. ამ პრობლემებს აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ბევრი ქვეყანა აწყდება.“

წყარო: http://www.nato.int/doc/basictxt/b911108a.htm

3. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს 2001 წლის 6 დეკემბრის განცხადებიდან:

„2001 წლის მოვლენებს ჩვენ ვაფასებთ როგორც არა მხოლოდ სამხედრო თავდასხმას ერთ-ერთ მოკავშირეზე, არამედ როგორც თავდასხმას ყველა ჩვენგანზე — ამიტომ ჩვენ ავამოქმედეთ ვაშინგტონის შეთანხმების მე-5 მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, ჩვენ გადავწყვიტეთ, ინდივიდუალურად და კოლექტიურად დაგვეჭირა მხარი აშშ-ის მიერ გატარებული სამხედრო ოპერაციებისათვის იმ ტერორისტთა წინააღმდეგ, რომელთაც ჩაიდინეს 11 სექტემბრის ბოროტმოქმედება და, აგრეთვე, მათ დამხმარეთა წინააღმდეგ.“

წყარო: http://www.nato.int/docu/pr/2001/p01-159e.htm

4. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ი. ფედოტოვის კომენტარი 2002 წლის 21 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ბუენოს-აირესში:

„რუსეთის პოზიცია ნატოსთან მიმართებაში არ შეცვლილა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნატოს გაფართოებისათვის არ არსებობს ობიექტური საფუძველი. ახლა მსოფლიო აწყდება საფრთხეთა და გამოწვევათა ახალ თაობას. ისინი გლობალური ხასიათისაა. შესაბამისად, პასუხიც ამ საფრთხეებს უნდა გაეცეს გლობალურად, და არა დახურულ სტრუქტურათა საშუალებით“.

5. ლატვიის პერზიდენტის, ქალბატონ ვაირა ვიკე-ფრაიბერგას მიმართვა ლატვიის ალიანსში გაწევრიანებისადმი მიძღვნილ ოფიციალურ ვახშამზე, 2004 წლის 2 აპრილს:

„ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

ვაირა ვიკე-ფრეიბერგა
ლატვიის პრეზიდენტი 1997-2007 წლებში

ეს ღირსშესანიშნავი დღეა. ლატვიამ განვლო დიდი გზა დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. ჩვენი დროშა აფრიალდა და შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ალიანსს...

...ქვეყანას დასჭირდა დიდი დიპლომატიური ძალისხმევა, რათა დაეკმაყოფილებინა ალიანსში გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი, რის გამოც დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას, ვინც დაგვეხმარა რჩევებით, საპასუხო რეაქციებით, მხარდაჭერით და მატერიალური დახმარებით...

...ჩვენ სულმოუთქმელად ველით ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ახალ ეპოქას. ევროპა თავიდან დაიბადა, აღმოცენდა და მომავალში გაძლიერდება ტრანსატლანტიკური გაერთიანების მხარდაჭერისა და სიმძლავრის დამსახურებით. მადლობას ვუხდი ყველა ჩვენს მეგობარს, მოკავშირეს. ეს დღესასწაულია...“.

წყარო: http://www.president.lv/pk/content/?cat_id=2191&art_id=1104

6. 2006 წლის ნოემბერში რიგაში გამართული ნატოს სამიტის შემაჯამებელი დეკლარაციიდან:

„ჩვენ (ნატოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები) მივესალმებით ინტენსიური დიალოგის დაწყებას საქართველოსა და ნატოს შორის, აგრეთვე, საქართველოს მონაწილეობას საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მშვიდობის დამყარებისა და უსაფრთხოებისათვის. ჩვენ გავაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას საქართველოსთან იქ მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერის მიზნით. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს, გააგრძელოს სწრაფვა პროგრესისაკენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო რეფორმებში, სასამართლო რეფორმის გაძლიერების ჩათვლით, აგრეთვე უზრუნველყოს თავის ტერიტორიაზე არსებული მოუგვარებელი კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა“.

წყარო: http://www.nato.int/docu/pr/2006/p06-150e.htm

7. ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მოხსენება საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ:

„70-იან და 80-იან წლებში ტერორისტული დაჯგუფებების უდიდეს ნაწილს კონკრეტული პოლიტიკური მიზნები გააჩნდა. მსგავსი დაჯგუფებები მთლიანად არ გამქრალა, მაგრამ დღეს უკვე გაჩნდნენ „ახალი თაობის“ ტერორისტები, რომელთაც გააჩნიათ გაურკვეველი პოლიტიკური მიზნები. ისინი ძირითადად შედგებიან ეთნიკური ფანატიკოსებისგან, აპოკალიფსის მქადაგებლებისგან და გარემოს დაცვის ულტრარადიკალური დაჯგუფებებისგან. ტრადიციული ტერორისტები ისე გეგმავდნენ თავდასხმებს, რომ საზოგადოების ყურადღება მიექციათ ტერორიზმის მიზნისაკენ და არა თავად ტერორისტული აქტისაკენ. რელიგიურად მოტივირებული ტერორისტების მიზანია, დასაჯონ თავიანთი მტრები და, შესაძლებლობისამებრ, გაანადგურონ ისინი.

მოტივების შეცვლამ გამოიწვია ცვლილებები ტერორისტულ ორგანიზაციებში და მათს სტრუქტურებში. ის გახდა უფრო მოქნილი და შედგება მრავალი ავტონომიური ნაწილისაგან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ტერორისტები დასაყრდენს პოულობენ ლეგალურ ბიზნესსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში. კომპიუტერები და თანამედროვე ტექნიკა ხელს უწყობს ტერორისტებს ინფორმაციის სწრაფ გაცვლაში“.

წყარო: http://www.naa.be/archivedpub/comrep/2001/au-221-e.asp#1

კითხვები და დავალებები

1. *შეადარეთ ნატოს ძირითადი ამოცანები „ცივი ომის“ წლებში და კომუნისტური სისტემის დაშლის შემდგომ პერიოდში!*
2. *რატომ ხორციელდება ნატოს გაფართოების პროცესი ეტაპობრივად და რატომ მიიღება ახალი წევრები ორგანიზაციაში თანდათანობით?*
3. *შეადარეთ საფრთხეთა შეფასებები, რომლებიც გაკეთდა ვაშინგტონისა და რიგის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრებზე!*
4. *რით აიხსნება რუსეთის უარყოფითი რეაქცია ნატოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ?*

5. *ყურადღებით შეისწავლეთ რიგის დეკლარაციის ფრაგმენტი საქართველოს შესახებ! შეეცადეთ დიპლომატიური ენიდან თარგმნოთ, თუ რა ამოცანები აქვს საქართველოს გადასაწყვეტი ნატოში გასაწევრიანებლად!*
6. *საიტზე http://www.nato.int/issues/nrf/index.html მოძებნეთ ინფორმაცია ნატოს ე.წ. რეაგირების ძალების (NRF-NATO Response Force) შესახებ. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რა სახის ცვლილებებმა გამოიწვია მათი შექმნა?*
7. *საიტზე http://www.nato.int/issues/afgha მოძებნეთ, თუ რა დავალებებს ახორციელებს ამჟამად ნატო ავღანეთში?*
8. *მოცემული საინფორმაციო რესურსის დახმარებით დამოუკიდებლად შეისწავლეთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ნატოს გაფართოება და როგორია ალიანსში ახალი წევრების მიღების პირობები? http://www.nato.int/issues/enlargement/index.html*
9. *შეისწავლეთ ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების მე-10 მუხლი! როგორ არეგულირებს ეს მუხლი ახალი წევრების მიღებას?*
10. *რატომ წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს თანამედროვე ტერორიზმი?*

საზოგადოება აგრძელებს კამათს

- *90-იან წლებში ნატოში ცვლილებების მიმდინარეობისას დაიწყო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ალიანსის, როგორც თავდაცვითი კავშირის, მნიშვნელობა იკარგებოდა. ამიერიდან შესაძლებელი იყო, ეს ფუნქციები გადაეცათ ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა ევროკავშირი ან გაერო. ბევრი საუბრობდა ასევე აშშ-ის გავლენის შემცირებაზე ევროპაში — თითქოს, ევროპელებს თვითონ შეეძლოთ მოეგვარებინათ საკუთარი უსაფრთხოების პრობლემები. როგორ შეიძლება შევაფასოთ, რამდენად საფუძვლიანია ეს წინადადებები?*
- *ნატოს გაფართოების კრიტიკოსები დასავლეთში (არიან ასეთებიც!) თვლიან, რომ მოკავშირეთა რიცხვის გაზრდა 26-მდე და მეტად, სამხედრო-თავდაცვით კავშირს გადააქცევს ქმედითუუნარო ან ე.წ. „ქაღალდის ალიანსად“. რა წვლილი შეიძლება შეიტანონ ახალმა წევრებმა და რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ მათ ნატოს მიზნების განხორციელებაში?*

დასკვნა

„ცივი ომის“ წლებში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ასრულებდა თავის მისიას, იცავდა რა წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებას და ქმნიდა მათი განვითარებისათვის აუცილებელ პირობებს. ამის დასტური გახდა XX საუკუნის 90-იან წლებში კომუნისტური სისტემისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის რღვევა.

ტრადიციული მოწინააღმდეგის გაქრობა და ახალი პოლიტიკური სიტუაცია ხელს უწყობდა საკუთრივ ნატოში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას. ალიანსის ძირითადი შემადგენელი ცვლილებები იყო: ახალი სტრატეგია, სტრუქტურის შეცვლა და მისი გაფართოება. ცვლილებების მიუხედავად, ნატო მაინც ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ძირითადი პრინციპების ერთგული დარჩა.

როგორ მუშაობს ნატო

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სიმბოლო სულ უფრო დიდ დატვირთვას იძენს ევროპული ქვეყნების მოსახლეობისათვის და მათთვისაც, ვინც ევროპის კონტიტენტის მიღმაა. რაში მდგომარეობს ნატოს კომპასის სიმბოლური ისრების მიმზიდველობა? რატომ დგებიან სახელმწიფოები რიგში, რათა ამ ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრთა წრეში მოხვდნენ?

თანამედროვე მსოფლიოში დაახლოებით 200 სახელმწიფოა. თუ ჩავიხედავთ მსოფლიოს პოლიტიკური რუკის მოზაიკაში, ადვილად შევამჩნევთ განსხვავებებს სახელმწიფოებს შორის. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რათა აღმოვაჩინოთ როგორც დიდი, ასევე პატარა და სულ ნამცეცა ფერადი ნაწილები. სახელმწიფოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან პოლიტიკური სისტემებით, რესურსების სიმდიდრით, კულტურით, ისტორიითა და ა.შ.

ამ განსხვავებების გათვალისწინებით, ყოველ ქვეყანას გააჩნია საკუთარი ინტერესები და მათგან ყველაზე მთავარია არსებობის სრულიად ელემენტარული სურვილი. ისევე, როგორც ყოველ ადამიანს, პირველ რიგში, სურს გადარჩეს, ყველა ქვეყანა ისწრაფვის არსებობისაკენ. პოლიტიკაში ეს სწრაფვა აღინიშნება შემდეგი ცნებით — უზრუნველყოს თავისი **სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.** შემდეგ, ყოველ ქვეყანას გააჩნია სხვა ინტერესთა მთელი სპექტრი — ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და სხვა სფეროებში. ვინაიდან ყოველი ქვეყანა, პირველ რიგში, საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს, შეუძლებელია, თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა ქვეყნის ინტერესთა შეჯახება. ამას ხშირად მივყავართ უთანხმოებამდე და კონფლიქტამდეც კი. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ერთობლიობა, მათი ინტერესების რთული ქსელი და ამ ინტერესების გადაკვეთა ქმნის **საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას**. ეს სისტემა მუდმივად იცვლება. სწორედ პოლიტიკური სისტემის ცვალებადობა და განუსაზღვრელობა აიძულებს ყოველ ცალკეულ სახელმწიფოს, ცდილობდეს არა მხოლოდ თავისი ეგოისტური ინტერესებისა და მიზნების დაკმაყოფილებას, არამედ იზრუნოს იმაზე, რომ მიაღწიოს რაიმე საერთო მიზანს — მონაწილეობა მიიღოს მთელი სისტემის პირობით სტაბილურობაში, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოთა თანამშრომლობას მოითხოვს.

დღეისათვის შეგვიძლია დავასახელოთ უამრავი სფერო, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და ინტერესთა ჰარმონიზაციას ყველასათვის დადებითი შედეგი მოაქვს. არ არის გასაკვირი, რომ საერთაშორისო საზოგადოება, ცალკეული ადამიანები ჩვენს სამყაროს და მასში მიმდინარე მოვლენებს უფრო და უფრო მეტად აღიქვამენ და შეიგრძნობენ, როგორც ერთ მთლიან გლობალურ და ურთიერთკავშირში არსებულ სისტემას. სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და მათი ინტერესების შეთანხმებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ხერხები და ინსტრუმენტები. მხოლოდ ცალმხრივი ან ორმხრივი ძალისხმევა ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის. მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების მიზნით, სახელმწიფოები ქმნიან **საერთაშორისო ორგანიზაციებს, კავშირებსა და ალიანსებს.**

ამჟამად მსოფლიოში მოქმედებს რამდენიმე ასეული საერთაშორისო ორგანიზაცია. მრავალ მათგანში აქტიურად მონაწილეობს საქართველოც. ფაქტობრივად, საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნებთან ერთად გახდნენ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი და ქმედითი ნაწილები.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ყოველი სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერესი უსაფრთხოების სურვილია. სწორედ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებია პირდაპირ კავშირში თითოეული სახელმწიფოს არსებობის საფუძველთან. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის ცხოვრების ეს სფეროც საერთაშორისო თანამშრომლობისა და შეთანხმების საგანია. თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს; ალბათ, მათ შორის ყველაზე ცნობილია ნატო. მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მან მოიხვეჭა სახელმწიფოთა კოლექტიური თავდაცვის ძალზე ეფექტური ორგანიზაციის რეპუტაცია.

1. ნატოს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები

ჩრდილოატლანტიკურ შეთანხმებაში და ალიანსის საქმიანობის პრაქტიკაში შემუშავებულია მოკავშირეთა შორის თანამშრომლობის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. ***კონსენსუსი*** - ნატო მიეკუთვნება ე.წ. სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციებს. სახელმწიფო ორგანიზაციაში წევრიანდება ნებაყოფლობით შეთანხმების გაფორმების საფუძველზე. ნატო, როგორც ორგანიზაცია, არანაირად არ ზღუდავს ყოველი ცალკეული წევრი სახელმწიფოს თავისუფალი არჩევანისა და მოქმედების სუვერენულ უფლებას. ამ სახით ყველა მონაწილის თანაბარუფლებიანობა იურიდიულად არის უზრუნველყოფილი, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს დისკუსიებისა და კონსულტაციების წარმოებას, ყველა მონაწილის ინტერესების დაცვასა და შეთანხმებას. შედეგად კონკურენციის საფუძველზე მიიღება ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგება სიტუაციას და ყველა მხარის ინტერესებს.
2. ***კოლექტიური თავდაცვა*** - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ერთ-ერთ უმთავრესს ფუნდამენტს წარმოადგენს მე-5 მუხლი, რომელიც მოიცავს წევრი სახელმწიფოების კოლექტიური დაცვის გარანტიებს. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს, რომ ერთი ან რამდენიმე მონაწილის მიმართ არსებული საფრთხის შემთხვევაში, ნატოს წევრი-ქვეყნები ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ მათ სხვადასხვაგვარი დახმარება, რომელიც გულისხმობს სამხედრო ძალის გამოყენებასაც.
3. ***„ღია კარის“ პოლიტიკა*** - ასახულია ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებაში. ამ პრინციპის თანახმად, ევროპის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც მზად არის ხელი შეუწყოს ალიანსის მიზნებს, დაიცვას მისი პრინციპები და შეასრულოს ვალდებულებები, შეუძლია გახდეს ნატოს წევრი.

ყველა ზემოხსენებული პრინციპები განსაზღვრავს ნატოს სტრუქტურას, გადაწყვეტილებათა მიღების წესს, ორგანიზაციის მართვას და საქმიანობას.

ნებისმიერი სამხედრო-თავდაცვითი ორგანიზაციის ეფექტურობა ყოველთვის დამოკიდებული იყო მის განკარგულებაში მყოფ სამხედრო პოტენციალზე. ნატოს ყოველთვის გააჩნდა საკმარისი სამხედრო საშუალებები იმისათვის, რომ შეესრულებინა ალიანსის ძირითადი ამოცანები. დღესაც ნატო წევრი სახელმწიფოები მუდმივად ზრუნავენ თავისი სამხედრო ძალისა და თავდაცვის საშუალებების განვითარებაზე.

ნატოს ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ტრანსატლანტიკური კავშირი, რაც გულისხმობს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემაში კანადისა და პოლიტიკურად გავლენიანი და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვას. ზოგჯერ აშშ-ის გავლენის ხარისხის თაობაზე წამოჭრილი კამათის მიუხედავად, ყველა წევრი სახელმწიფო ერთსულოვანია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მომავალშიც საჭიროა ტრანსატლანტიკური კავშირის შენარჩუნება და განვითარება.

2. ნატოს სტრუქტურა და გადაწყვეტილებათა მიღების წესი

ნატოს სათაო ოფისი ბრიუსელი, ბელგია

კოლექტიური თავდაცვის მიმართულებით ჩრდილოატლანტიკური შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის ნატოს ქვეყნებმა შექმნეს და დღესაც ავითარებენ ფართო ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომლის შტაბბინა მდებარეობს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. ნატოს შეთანხმებულ მოქმედებას უზრუნველყოფს 4000 თანამშრომელი, რომლებიც ყველა წევრ-სახელმწიფოს წარმოადგენენ.

ნატოს გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ ინსტიტუტს **ჩრდილოატლანტიკური საბჭო** წარმოადგენს, რომელშიც თითოეულ წევრ-სახელმწიფოს გააჩნია ერთი ხმა. საბჭოს მუშაობის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მისაღებად, ის იმართება სამ დონეზე:

***პრაღის სამიტი** 21 ნოემბერი 2002 წელი*

1) ელჩების დონეზე — საბჭო იკრიბება ჩვეულებრივ კვირაში ერთხელ (ან საჭიროებისამებრ);
2) მინისტრთა დონეზე — ნატოს წევრი ქვეყნების მთავრობის წევრები (ჩვეულებრივ, ესენი არიან საგარეო საქმეთა ან თავდაცვის მინისტრები) იკრიბებიან წელიწადში ორჯერ;
3) სამიტები, ანუ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე - საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ ან ორ წელიწადში ერთხელ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხთა განსახილველად და გადასაჭრელად. მაგალითად, სტრატეგიები, ახალი წევრების მიღება და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ერთნაირი სამართლებრივი სტატუსი გააჩნია, თუმცა სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებები პოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებათა მიღების წესს. გადაწყვეტილებები მზადდება და მიიღება კონსენსუსის პრინციპის დაცვით. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ყველა მონაწილის თანხმობის საფუძველზე. ასეთი პროცედურა, რა თქმა უნდა, შეიძლება გაჭიანურებული ჩანდეს. იგი მოითხოვს მეტ დროს დამატებითი კონსულტაციებისათვის, შეთანხმებისა და დარწმუნებისათვის, მაგრამ, ასეთი გადაწყვეტილებათა ხარისხი უფრო მაღალია და არ ზღუდავს თითოეული წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ინტერესებსა და უფლებებს.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი პრინციპი, რომლის თანახმადაც ნატოს საქმიანობაში მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან სამოქალაქო და სამხედრო სფეროები.

ნატოს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურა



ამ პრინციპის დაცვა აუცილებელია, რათა ნატო, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ შექმნილი ორგანიზაცია, მოქმედებდეს დემოკრატიული მოთხოვნების შესაბამისად — იყოს პასუხისმგებელი თავისი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებათა წინაშე და ექვემდებარებოდეს კონტროლს მათი მხრიდან. ნატოს ყველა სამხედრო ინსტიტუტი (მაგალითად, სამხედრო კომიტეტი, ატომური დაგეგმარების ჯგუფი, საერთაშორისო სამხედრო შტაბი და ევროპაში მოკავშირეთა მთავარი სარდლობა) ექვემდებარება სამოქალაქო ინსტიტუტებს და მოქმედებს მხოლოდ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად.

ალიანსს ხელმძღვანელობს უმაღლესი ფიგურა გენერალური მდივანი. გენერალურ მდივანს ირჩევენ და ნიშნავენ წევრი სახელმწიფოები. მისი მოვალეობები ძალზე მრავალფეროვანი, რთული და საპასუხისმგებლოა. ფაქტობრივად, ის ხელმძღვანელობს მთელ სამოქალაქო პერსონალს და ნატოს ინსტიტუტებს. გენერალური მდივანი ერთდროულად ჩრდილოატლანტიკური საბჭოს თავმჯდომარე და ორგანიზაციის ყველა მნიშვნელოვანი კომიტეტის ხელმძღვანელია. გენერალურ მდივანს ასევე ექვემდებარება საერთაშორისო სამხედრო შტაბი. იმისათვის, რომ წარმატებით გაართვას თავი ყველა თავის მოვალეობას და ალიანსის გადაწყვეტილებების მიღებისას მიაღწიოს კონსენსუსს, გენერალურ მდივანს უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული

დიპლომატიური ნიჭი. ტრადიციისამებრ, ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე ირჩევა რომელიმე ევროპული ქვეყნის წარმომადგენელი.

იაფ დე ჰოოფ სხეფერი
2004 წლიდან დღემდე ნატოს გენერალური მდივანი;
1982-1989 ჰოლანდიის ელჩი ნატოში;
2002-2003 წლებში ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ნატოს მთავარი შემადგენელი სამხედრო ორგანიზაციაა **სამხედრო კომიტეტი**, რომელშიც შედიან წევრი სახელმწიფოების თავდაცვის უწყებების წარმომადგენელი უფროსი სამხედრო რანგის პირები. სამხედრო კომიტეტი პასუხისმგებელია უშუალოდ სამხედრო ხასიათის ღონისძიებების განსაზღვრაზე, იგი წარმართავს ნატოს სამხედრო საქმიანობას და მითითებებს აძლევს ნატოს სტრატეგიულ სარდლობებს.

ამჟამად, რეფორმების გატარების შემდეგ, ნატოს გააჩნია ორი სტრატეგიული სარდლობა: გაერთიანებული სამხედრო ძალების სარდლობა ოპერაციებისათვის და გაერთიანებული სამხედრო ძალების სარდლობა ტრანსფორმაციისათვის, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან სამხედრო კომიტეტის წინაშე სამხედრო ხასიათის ყველა სახის ქმედებაზე. ტრადიციულად, ამ სარდლობების მთავარსარდლები ინიშნებიან აშშ-ის გენერლიტეტის რიგებიდან.

ნატოს სამხედრო ძალებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ალიანსს უშუალო დაქვემ-დებარებაში ფაქტობრივ არ გააჩნია სამხედრო შენაერთები. საჭიროების შემთხვევაში წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან და თითოეული მათგანი ნატოს სამხედრო სარდლობის განკარგუ-ლებაში გადასცემს საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალების აუცილებელ რაოდენობას.

ნატოს პასუხი უსაფრთხოების ახალ გამოწვევებზე გახდა 2004-2006 წლების განმავლობაში განსაკუთრებული სტრუქტურის, ე.წ. **რეაგირების ძალების (NRF-NATO Response Force)** შექმნა. ეს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო დანიშნულების კომბინირებული ძალები გამოირჩევა მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობით, სწრაფი გაშლის, 5 დღის განმავლობაში, და დამოუკიდებელი მოქმედების 30 დღის განმავლობაში, შესაძლებლობებით. ისინი შედგება ქვედანაყოფებისაგან, რომლებსაც როტაციის პრინციპის საფუძველზე ცალკეული სახელმწიფოები გამოყოფენ. ნატოს რეაგირების ძალების გამოყენება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მითითებით ხორციელდება.

ნატოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული.

ნატოს საქმიანობაზე დემოკრატიული ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად წევრი სახელმწიფოების პარლამენტებმა შექმნეს **ნატოს საპარლამენტო ასამბლეა**. ამ ფორუმზე თავს იყრიან ნატოს ქვეყნების პარლამენტის წევრები და განიხილავენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროს აქტუალურ საკითხებს.

ნატოს დემოკრატიული ხასიათი გარანტირებულია არა მხოლოდ პარლამენტართა მონაწილეობით, არამედ უფრო ფართო სამოქალაქო ინიციატივით. 1954 წლიდან მოქმედებს **ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია,** რომელიც აერთიანებს წევრი სახელმწიფოების არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათი მიზანია ალიანსის მისიის ხელშეწყობა და მხარდაჭერა საზოგადოებრიობის ინფორმირების, კვლევითი სამუშაოების ჩატარების და სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარების გზით.

ახალი სახელმწიფოების სწრაფვამ ნატოს წევრობისაკენ გასული საუკუნის 90-იან წლებში და ახალი საუკუნის დასაწყისში აიძულა ნატო, დაედგინა წესები ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების პროცესთან დაკავშირებით. ყოველი კანდიდატი, განაცხადის წარდგენის მომენტიდან, ვალდებულია დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები:

- მზადყოფნა საერთაშორისო ან შიდა ეთნიკური კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისათვის;
- კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვა;
- დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე;
- ნატოს თავდაცვასა და მისიებში საკუთარი წვლილის შეტანისათვის მზადყოფნა;
- თავდაცვისათვის საკმარისი საშუალებების გამოყოფის შესაძლებლობა;
- საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ნატოს წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებებთან;

იმისათვის, რომ კანდიდატი ქვეყანა მოემზადოს ნატოს წევრობისათვის, ალიანსი სთავაზობს მას **გაწევრიანების სამოქმედო გეგმას (MAP).** გეგმის ამოქმედება გულისხმობს, რომ კანდიდატი ქვეყანა გაწევრიანების ბოლო მოსამზადებელ ეტაპზეა.

დოკუმენტები და წყაროები

1. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მუშაობის წესი:

მუდმივი წარმომადგენლები მოქმედებენ დედაქალაქებიდან მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად: ისინი აწვდიან მოლაპარაკებათა მაგიდასთან მსხდომ კოლეგებს ინფორმაციას თავიანთი ქვეყნის მთავრობის მოსაზრებებისა და მათ მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესახებ და განმარტავენ ამ მოსაზრებებსა და გადაწყვეტილებებს. ამასთანავე, ისინი აწვდიან ინფორმაციას თავიანთ ხელმძღვანელობას სხვა ქვეყნების მთავრობათა მოსაზრებებისა და პოზიციების შესახებ, აგრეთვე სიტუაციის განვითარების შესახებ და საქმის კურსში აყენებენ თავიანთ ხელმძღვანელობას იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღწევა კონსენსუსი იმ მნიშვნელოვან საკითხებზე ან მიმართულებებზე, რომლებზეც მონაწილე სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ერთნაირი პოზიციები. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ან მისი რომელიმე კომიტეტის სხდომაზე წარმოდგენილი ყოველი ქვეყანა ინარჩუნებს სრულ სუვერენიტეტსა და პასუხისმგებლობას საკუთარ გადაწყვეტილებებზე.

წყარო: http://www.nato.int/issues/nac/practice.html

2. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის მიმართულებები:

პოლიტიკისა და უსაფრთხოების მიმდინარე საკითხებზე კონსულტაციების გარდა, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში იმართება აგრეთვე ხანგრძლივი კონსულტაციები და თანამშრომლობა საქმიანობის მთელ რიგ მიმართულებებზე.

ამ მიმართულებათა შორისაა: მშვიდობის შენარჩუნებისა და კრიზისული სიტუაციების დაძლევის ოპერაციები; რეგიონული საკითხები; კონტროლი შეიარაღებაზე და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები; საერთაშორისო ტერორიზმი; თავდაცვის დაგეგმარებასთან დაკავშირებული საკითხები; ბიუჯეტის შექმნა, თავდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმირება; საგანგებო სამოქალაქო დაგეგმარება და უბედურ შემთხვევებზე რეაგირების ძალებისათვის მზადყოფნა; თანამშრომლობა შეიარაღების სფეროში; ბირთვული უსაფრთხოება; საჰაერო მიმოსვლის ორგანიზაციის სამოქალაქო და სამხედრო სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია; სამეცნიერო თანამშრომლობა. თუმცა ამ ჩამონათვლით მიმართულებების სია არ ამოიწურება.

წყარო: *http://www.nato.int/issues/eapc/index-ru.html*

3. ნატოს რეაგირების ძალების ამოცანები და შესაძლებლობები:

ნატოს რეაგირების ძალების ძალებს, რომლებიც მოქმედებენ ფუძემდებელი პრინციპის შესაბამისად - „პირველებმა დავიწყოთ და პირველებმა დავასრულოთ მოქმედებები“, შეუძლიათ შეასრულოს დავალებები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში:

- *ავტონომიური შენაერთის გამოყოფა მე-5 მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების შესრულების მიზნით და იმ კრიზისულ სიტუაციებზე (ე.წ. რეაგირების ძალების ოპერაციები), რომლებიც არ არის გათვალისწინებული მე-5 მუხლით, როგორიცაა მაგ: ევაკუაცია, კატასტროფის (ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საშუალებებით გამოწვეული ინციდენტები) შედეგების აღმოფხვრაში დახმარება, აგრეთვე დახმარება ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში და კონტრტერორისტული ოპერაციების ფარგლებში;*
- *ძალების გამოყოფა ნატოს სიმტკიცისა და სოლიდარობის დემონსტრირებისათვის კრიზისის თავიდანაცილების მიზნით (ე.წ. სწრაფი რეაგირების ძალების ოპერაციები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებულია დიპლომატიური მცდელობების გასამყარებლად).*

წყარო: *http://www.nato.int/issues/nrf/practice-ru.html*

4. 1995 წელს ალიანსმა ჩაატარა კვლევა ნატოს გაფართოების შესახებ. ეს კვლევა საფუძვლად დაედო გაფართოების პოლიტიკას. დოკუმენტში მოცემულია ნატოში ახალი წევრების მიღების მიზნები, პრინციპები და მექანიზმი:

როგორც კვლევამ აჩვენა, ნატოში გაწევრიანების მსურველმა ქვეყნებმა უნდა დაადასტურონ, რომ მათ შეასრულეს კონკრეტული მოთხოვნები, კერძოდ: ამ ქვეყნებში მოქმედებს საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა; ისინი იცავენ ეუთოს მიერ დადგენილ პრინციპებს უმცირესობებთან მიმართებაში; მათ გადაჭრეს მეზობელ სახელმწიფოებთან დარჩენილი სადავო საკითხები და გამოაცხადეს, რომ დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პრინციპის ერთგულნი იქნებიან; ისინი მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩრდილოატლანტიკური კავშირის მუშაობაში სამხედრო განხრით და მიაღწიონ სხვა წევრი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებთან ოპერატიულ თავსებადობას; ისინი სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურებს შორის დემოკრატიული თანამშრომლობის და დემოკრატიული სახელმწიფო წყობის ერთგულნი არიან.

ახლად გაწევრიანებული ქვეყნები სარგებლობენ ორგანიზაციის წევრის ყველა უფლებით და ამასთან, თავიანთ თავზე იღებენ ყველა შესაბამის ვალდებულებას. კერძოდ, გაწევრიანების მომენტში ისინი იღებენ ყველა იმ პრინციპს, პოლიტიკასა და პროცედურას, რომლებიც მანამდე იყო დადგენილი.

წყარო: http://www.nato.int/issues/study_on_enlagement/index-ru.html
http://www.nato.int/docu/basictxt/enl-9501.htm

5. სამხედრო სფეროში მსოფლიოს 15 წამყვანი ქვეყნის სამხედრო ხარჯები 2006 წელს:

ქვეყანა	სამხედრო დანახარჯები მლრდ აშშ დოლარში	სამხედრო დანახარჯების წილი მთლიან დანახარჯებში (პროცენტებში)
აშშ	528,7	46%
დიდი ბრიტანეთი	59,2	5%
საფრანგეთი	53,1	5%
ჩინეთი	49,5	4%
იაპონია	43,7	4%
გერმანია	37	3%
რუსეთი	34,7	3%
იტალია	29,9	3%
საუდის არაბეთი	29	3%
ინდოეთი	23,9	2%
სამხრეთ კორეა	21,9	2%
ავსტრალია	13,8	1%
კანადა	13,5	1%
ბრაზილია	13,4	1%
ესპანეთი	12,3	1%
ჯამი	1158	

წყარო: http://www.sipri.org/contents/milap/milex/mex_major_spenders.pdf

6. სტატისტიკური მონაცემები ნატოს ქვეყნების სამხედრო ძალების შესახებ:

ქვეყანა	სამხედრო ძალების რაოდენობა (2006ნ) 1000 ჯარისკაცი	დანახარჯები თავდაცვაზე, მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მაჩვენებელი (2006)
ბელგია	39	1,1
ბულგარეთი	43	2,4
კანადა	64	1,2
ჩეხეთის რესპუბლიკა	26	1,8
დანია	21	1,4
ესტონეთი	5	1,6
საფრანგეთი	356	2,4
გერმანია	245	1,3
საბერძნეთი	139	3,0
უნგრეთი	23	1,2
იტალია	309	1,5
ლატვია	5	1,5
ლიტვა	11	1,3
ლუქსემბურგი	14	0,7
ნიდერლანდები	50	1,5
ნორვეგია	20	1,7
პოლონეთი	150	1,9
პორტუგალია	39	1,6
რუმინეთი	75	2,0
სლოვაკეთი	19	1,7
სლოვენია	7	1,7
ესპანეთი	127	1,2
თურქეთი	499	2,8
დიდი ბრიტანეთი	206	2,3
აშშ	1355	3,8

წყარო: http://www.nato.int/docu/pr/2006/p06-159.pdf

კითხვები და დავალებები

1. *გულდასმით შეისწავლეთ ნატოში გადაწყვეტილებათა მიღების წესი. წარმოიდგინეთ, რომ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაში მონაწილეობს საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი. ვის ინტერესებსა და მითითებებს შეასრულებს ის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში: ნატოს გენერალური მდივნის, საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთაურის, აშშ-ის პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის თუ საქართველოს მმართველი პარტიის?*
2. *გაეცანით ნატოს გენერალური მდივნის ვალდებულებებს. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი სირთულე მის შესრულებაში? შეიძლება თუ არა, რომ საქართველოს წარმომადგენელი მომავალში გახდეს ნატოს გენერალური მდივანი?*

3. ნატოს, როგორც სამხედრო-თავდაცვითი ორგანიზაციის, მართვაში უფრო მეტი წონა რატომ აქვთ სამოქალაქო პირებს, ვიდრე სამხედროებს?
4. გააანალიზეთ ნატოს ქვეყნების დანახარჯები თავდაცვაზე. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ დანახარჯების სხვა ქვეყნების დანახარჯებთან შედარებით?
5. გაეცანით ახლანდელი ნატოს გენერალური მდივნის ბიოგრაფიას. რატომ მაინცდამაინც ის აირჩიეს ამ მაღალ თანამდებობაზე?
6. შეუძლია თუ არა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ეწინააღმდეგება ერთი პატარა სახელმწიფო?
7. გაეცანით ნატოს ახალ სამხედრო ინსტრუმენტს — ნატოს რეაგირების ძალებს (http://www.nato.int/issues/nrf/index.html)! რატომ შეიქმნა ეს სამხედრო შენაერთი ბოლო ათწლეულში?
8. შეისწავლეთ ის პირობები, რომლითაც ნატო ალიანსში იწვევს ახალ წევრებს. კლასში იმსჯელეთ იმის შესახებ, თუ დღესდღეობით რამდენად აკმაყოფილებს საქართველო ამ მოთხოვნებს.

საზოგადოება აგრძელებს კამათს

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული თავდაცვითი ღონისძიებები ჯდება ძალზე ძვირი. გამართლებულია თუ არა ამხელა დანახარჯები, რომელსაც იხდის საზოგადოება, რათა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება?

დასკვნა

თავისი არსებობის 60 წლის მანძილზე, ნატომ დაამტკიცა, რომ შეუძლია ეფექტურად შეასრულოს თავისი მისია — იზრუნოს თავისი წევრების უსაფრთხოებასა და დაცვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსში გაწევრიანდა მრავალი ქვეყანა, რომელთა ინდივიდუალური ინტერესები ხშირად განსხვავებულია, ნატოში დამყარებული წესრიგი ნებას აძლევს სუვერენულ სახელმწიფოებს გადალახონ უთანხმოება, მოილაპარაკონ და მივიდნენ საერთო აზრამდე. ნატოს სტრუქტურა და ფუნქციონირება ეფუძნება გადაწყვეტილებათა მიღებისას ყველა მხარის თანაბარუფლებიანობას და ურთიერთპასუხისმგებლობას. ნატო წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოების ალიანსს, ამიტომ მის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული ინსტიტუტების კონტროლი და სამოქალაქო საზოგადოება. ეფუძნება რა ამ წესებს, ნატო ახალ პირობებშიც აგრძელებს თავისი პოლიტიკის განვითარებას.

საქართველო-ნატოს ურთიერთობები

როდესაც საუბარია ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივაზე და იმ სიკეთეზე, რასაც საქართველოს მოუტანს მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა, პირველ რიგში ყურადსაგებია ის უნიკალური ფაქტი, რომ თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩვენს ქვეყანას (ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში) პირველად ეყოლება სტრატეგიული მოკავშირე. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს პოლიტიკოსები ისე ხშირად ურიგებდნენ ამ „წოდებას“ თითქმის ყველა მეზობელს (ცხადია, თვით რუსეთის ჩათვლითაც), რომ დღეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი შეიძლება არც კი განასხვავებდეს კეთილმოსურნე მეზობელს სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირისგან. რომელი ჩვენი მეგობარი ქვეყანაა ვალდებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომ სამხედრო ძალით დაგვიცვას? უფრო რომ დავაკონკრეტოთ, დღევანდელი საქართველო, სამხედრო თვალსაზრისით, უმთავრესად მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა იყოს. წინა საუკუნეებში სუსტი საქართველოს „დაცვას“ ხან სპარსეთი და ხან ოსმალეთი კისრულობდა, ხოლო შემდეგ ეს „მისია“ რუსეთმა ითავა, როდესაც საქართველო საკუთარ გუბერნიად აქცია.

სტრატეგიული კავშირი მხოლოდ პოლიტიკურ და მორალურ მხარდაჭერას არ გულისხმობს. სტრატეგიული კავშირის ყველაზე ნათელი და არაორაზროვანი ილუსტრაციაა ნატოს მეხუთე მუხლი, რომლის თანახმადაც ორგანიზაციის ნებისმიერ წევრზე (თუნდაც ყველაზე პატარასა და სუსტზე) თავდასხმა მთელ ორგანიზაციაზე თავდასხმას ნიშნავს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი საქართველოსთვის ნატოს წევრობა, რათა ქვეყანაზე ზეწოლა, ისევე როგორც შანტაჟი ფაქტობრივად გამოირიცხოს. ამავე დროს, საქართველოს მისწრაფება ნატოსკენ სოციალური, კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში დაბრუნებისა და დასავლურ ფასეულობებისკენ გადაგმული ნაბიჯია.

1. საქართველოს გზა ნატოსაკენ

1994 წელი. ბრიუსელი, ბელგია, ***საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ალექსანდრე ჩიკვაიძე ხელს აწერს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ დოკუმენტს***

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელ რიგ ახლად წარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია დისკუსიების თემად იქცა. საქართველოში ამ სფეროშიც კარგა ხნის გარკვეული იყო ყველაფერი. პირველივე დღეებიდანვე პროდასავლური კურსი უალტერნატივო პრიორიტეტად იქცა. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კონფლიქტი და რუსეთის უმეტესწილად დაუფარავი ანტიქართული პოლიტიკა არჩეული კურსის დამატებით არგუმენტებს წარმოადგენდა. მაგრამ ნატო არც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაა და არც დსთ. ნატოში გასაწევრიანებლად გარკვეული მანძილი უნდა განვლო ძირეული რეფორმებისა და სრულფასოვანი დემოკრატიზაციის გზაზე. ამ მიმართულებით საქართველომ 1992 წელს „აიდგა ფეხი“, როდესაც პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან თანამშრომლობის ნატოს პროგრამას – **ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს** შეუერთდა. შემდგომი ნაბიჯი უკვე 1994 წლის 23 მარტს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში ჩართვა იყო. საქართველოსათვის პრინციპული სიახლე ის იყო, რომ იგი ნატოსთან კონსულტაციების უფლებას იღებდა. ამის

შემდეგ მოვლენები დინამიკურად განვითარდა: 1996 წელს საქართველომ ნატოს წარუდგინა „ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა“, რომელშიც ჩაწერილ იქნა თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში ჩასატარებელი ღონისძიებები.

ცხადია, რომ აქცენტი გამახვილებული იყო არმიისა და თავდაცვის მთელი სისტემის მოდერნიზაციაზე თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით. იმავე, 1996 წლის სექტემბერში, ქართული სამხედრო ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ სამხედრო წვრთნებში. 2001 წლის ივნისში კი ქ. ფოთში, ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივ ფართომასშტაბიანი წვრთნები ჩატარდა. 2002 წლის ივნისში უკვე საქართველოში გაიმართა ანალოგიური მასშტაბის წვრთნები. ერთი წლის შემდეგ კი საქართველომ სამხედრო-სამედიცინო წვრთნებს უმასპინძლა. საქართველო სულ უფრო და უფრო აქტიურად ჩაერთო ნატოს სასწავლო-სამხედრო პროგრამებში. 2001 წლიდან მოყოლებული საქართველო რეგულარულ პოლიტიკურ კონსულტაციებს მართავს ნატოს საერთაშორისო სამსახურებთან, პერიოდულად ხორციელდება ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტები თბილისში.

2004 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ ნატოსთან **ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის** (IPAP) განხორციელება დაიწყო. ის მოიცავს თანამშრომლობას ალიანსსა და პარტნიორს შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები; თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები; საზოგადოების ინფორმირების, მეცნიერების, გარემოს დაცვისა და სამოქალაქო კრიზისების მართვის საკითხები; ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოების და რესურსების მართვის საკითხები. საქართველო პირველი ქვეყნა გახდა, რომელთანაც ნატომ IPAP-ის ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა.

IPAP-ი თავისთავად არ წარმოადგენს ალიანსში გაწევრიანების ინსტრუმენტს, თუმცა საქართველომ თავიდანვე დააფიქსირა, რომ მას გამოიყენებდა ნატოში გაწევრიანებისა და ნატოს სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებისათვის. IPAP წარმოადგენს დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. IPAP-ის განხორციელების პროცესის ნატოს საერთაშორისო სამსახურის მიერ დადებითად შეფასებამ, განაპირობა 2006 წლის 21 სექტემბრიდან საქართველოს ნატოსთან ინტენსიურ დიალოგზე (Intensified Dialogue - ID) გადასვლა. ნატომ საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის სტადიაზე გადასვლით დაადასტურა, რომ საქართველო განიხილება ნატოში გაწევრიანების რეალურ კანდიდატად.

2004 წლის ოქტომბრიდან, თბილისში იმყოფება სამხრეთ კავკასიაში ნატოს მეკავშირე ოფიცერი. პარალელურად იზრდება საქართველოს როლი საერთაშორისო არენაზე. ნატოს ესმის საქართველოს მნიშვნელობა რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით. საქართველოში დემოკრატიის განვითარება და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება დადებითად აისახება, უპირველეს ყოვლისა, რეგიონის დემოკრატიულ განვითარებაზე და ამავდროულად ხელს შეუწყობს ერთიანი ევროპის უსაფრთხოებას.

აღსანიშნავია, რომ არა მარტო ნატოს, არამედ, პირიქით - საქართველოსაც შეუძლია უდიდესი სარგებელი მოუტანოს ნატოს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ენერგეტიკული რესუსების უსაფრთხო სატრანზიტო კორიდორია. ამავდროულად საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში.

3 ოქტომბერი 2007 წელი, სიღნაღი
ნატოს გენერალური მდივანი ***იაააპ დე ჰოოპ სხეფერი***
და საქართველოს პრეზიდენტი ***მიხეილ სააკაშვილი***

ნატოს ოპერაციებმა ბალკანეთში და ავღანეთში, რომლებშიც ქართველი სამშვიდობოები მონაწილეობდნენ, ბალკანეთის რეგიონში შეწყვიტა სისხლიანი ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტი, ხოლო ავღანეთი იხსნა ტერორისტული საქმიანობის კერად გადაქცევისაგან. ამ მოვლენებმა ქართულ საზოგადოებაში ბუნებრივად გაზარდა ინტერესი ნატოს მიმართ, ხოლო დასავლეთის ქვეყნებმა საქართველო მნიშვნელოვან პარტნიორად მიიღო.

ნატოში, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებულ ორგანიზაციას, არის მეტი გარანტიები ადამიანის უფლებების და ეროვნული უმცირესობების ინტერესების დაცვისთვის. ნატოს წევრი ქვეყანა ეკონომიკურად უფრო სტაბილურია და დინამიურად ვითარდება. აღნიშნული ფაქტორები კი მომხიბვლელი უნდა იყოს ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვისაც, ვინაიდან ეს მათი განვითარებისა და კეთილდღეობის გარანტიაა.

ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული მოსაზრებები, რომ მოუგვარებელი კონფლიქტები ხელს გვიშლის ნატოში ინტეგრაციის პროცესში. ნატომ არაერთხელ დააფიქსირა, რომ არ მიიჩნევს კონფლიქტების მოგვარებას გაწევრიანების წინაპირობად. უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი პირობა, რომელსაც ნატო კონფლიქტების მოგვარების კუთხით ჩვენს წინაშე აყენებს, ესაა მათი მშვიდობიანი გზით მოგვარება.

2. ნეიტრალიტეტი — მითი თუ რეალობა?

მიუხედავად იმისა, რომ ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა და თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, დროდადრო საზოგადოების ერთი (თუმცა მცირე) ნაწილი მაინც აყენებს დღის წესრიგში ნეიტრალიტეტის იდეას. ნეიტრალიტეტისკენ აქტიურად გვიბიძგებს კარგად ცნობილი გარეშე ძალაც. რადგანაც ამ იდეას, ასე თუ ისე, მაინც ჰყავს მომხრეები და ამავე დროს ნატოში გაწევრიანების პროცესი თავისთავად გულისხმობს საჯაროობას, გამჭვირვალეობასა და სხვა დემოკრატიულ პროცედურებს, აუცილებელია, ერთხელ კიდევ მივუბრუნდეთ ამ საკითხს და ცხადვყოთ საქართველოსათვის ნეიტრალიტეტის, როგორც პოლიტიკური ფენომენის, მიუღებლობა და გამოუსადეგარობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რამდენიმე სახის ნეიტრალიტეტი არსებობს:

- მეგობრული ნეიტრალიტეტი (ომის შემთხვევაში), რაც გულისხმობს ერთნაირ ურთიერთობას ორივე მეომარ მხარესთან.
- მუდმივი ნეიტრალიტეტი, როდესაც ქვეყნის საშინაო კანონმდებლობა განსაზღვრავს ნეიტრალიტეტს ყველა უცხო ქვეყანასთან ურთიერთობაში.
- ნეიტრალიტეტი სახმელეთო საომარი ოპერაციების დროს, ნეიტრალიტეტი სამხედრო-საჰაერო ოპერაციების დროს და ა.შ.

როგორც ცნობილია, ვენის კონგრესის შემდეგ (1815 წ.) ნეიტრალიტეტი შვეიცარიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპია, რომლის პოსტულატიცაა „ეკონომიკური ინტეგრაცია

პოლიტიკური მონაწილეობის გარეშე". თავად შვეიცარიელი ექსპერტები ამით ხსნიან ქვეყნის წარმატებას ეკონომიკურ სფეროში. გარდა ამისა, ნეიტრალიტეტმა საშუალება მისცა შვეიცარიას ესარგებლა „ცივი ომის" რეალობებით და საკუთარ ტერიტორიაზე მიეზიდა მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნეიტრალიტეტის შესახებ არავითარი საერთაშორისო დოკუმენტი არ არსებობს. მას ცალმხრივ აცხადებს ნებისმიერი სახელმწიფო. „ძველი" საყოველთაოდ ცნობილი ნეიტრალური სახელმწიფოა შვეიცარია. უახლეს ისტორიაში მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა ლაოსმა, კამბოჯამ, მალტამ და თურქმენეთმა. აქედან ლაოსის ნეიტრალიტეტმა სულ რამდენიმე დღე იარსება, ხოლო თურქმენეთის ნეიტრალიტეტი, სპეციალისტთა აზრით, თვითიზოლაციას უფრო წააგავს.

რამდენად იცავს თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი ქვეყანას გარე საფრთხისაგან? მაგალითად, ლაოსის ნეიტრალიტეტი, რომელიც ჟენევის სამშვიდობო კონფერენციამაც კი აღიარა, ვერ იქცა გარე აგრესიისაგან თავდაცვის ინსტრუმენტად.

1941 წლის 13 აპრილს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ვადა 1946 წლის 25 აპრილს გასდიოდა, თუმცა სტალინმა 1945 წლის 9 აგვისტოს უპრობლემოდ დაარღვია ხელშეკრულება და ომი გამოუცხადა იაპონიას. ასევე ცინიკურად დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი ჰიტლერმა, როდესაც სწორედ მისი ტერიტორიიდან შეიჭრა საფრანგეთში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოლდოვამ, რომელმაც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და კონსტიტუციაში შეიტანა შესაბამისი დებულება, დღემდე ვერ შეძლო რუსეთის ჯარებისგან გათავისუფლება.

ნეიტრალიტეტის თემა ახალი არ არის ქართულ პოლიტიკაში; ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის მესვეურებში (1918-1921 წლებში) სარგებლობდა იგი მოწონებით, მაგრამ სულ მოკლე დროში გახდა ცხადი შვეიცარული მოდელის შეუძლებლობა ისეთი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი და რუსეთთან გააფორმა შეთანხმება ორმხრივი მშვიდობის შესახებ, ამას ხელი არ შეუშლია რუსეთისთვის მოეხდინა საქართველოს ოკუპაცია;

ასე რომ, ნეიტრალიტეტი არსად და არასდროს არ ყოფილა პანაცეა, ხოლო საქართველო ნეიტრალიტეტის გამოცხადების შემთხვევაში პირისპირ აღმოჩნდება გაცილებით ძლიერ, არცთუ მეგობრულ სახელმწიფოსთან, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა არც ნაკისრ ვალდებულებათა ერთგულებით და არც კეთილმეზობლური ისტორიული ტრადიციებით.

3. შემდეგი გაჩერება ნატო

საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე შემდეგი ნაბიჯი — **გაწევრიანების სამოქმედო გეგმის** მიღებაა (წინამდებარე წიგნი დასაბეჭდად გადაცემულია 2008 წლის თებერვალში). გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan-MAP) წარმოადგენს დროში გაწერილ რეფორმების გეგმას, რომელთა შესრულების შემთხვევაში და ნატოს წევრი-ქვეყნების პოლიტიკური გადაწყვეტილებით ქვეყანა გახდება ალიანსის წევრი. არ არსებობს დადგენილი ვადები თუ რამდენი ხანი შეიძლება ქვეყანა იყოს ამ ეტაპზე. თუმცა, ალბანეთის, ხორვატიისა

26 ივლისი 2007 წელი, ***ზემო-აფხაზეთში ნატოს საინფორმაციო ცენრის რეგიონალური ოფისი გაიხსნა***

და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის, მაკედონიის მაგალითმა ნათლად გვაჩვენა, რომ ქვეყნები რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ჩართული MAP-ში, დღეს უკვე ალიანსის წევრობის კანდიდატები არიან.

საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მხარდასაჭერად ჩვენი ქვეყნის მეგობარი ნატოს წევრი სახელმწიფოებიც აქტიურად მუშაობენ. 2005 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა „მეგობართა ახალი ჯგუფი“, რომლის წევრებიც არიან ბულგარეთი, რუმინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა. ამას გარდა, აქტიურ მხარდაჭერას გვიცხადებს აშშ და დიდი ბრიტანეთი.

ალბათ, უპრიანია კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, რატომ გვჭირდება ნატოში ინტეგრაცია და რას მოუტანს ნატოს წევრობა საქართველოს. ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი ნატოს წევრი ქვეყნების 60-წლიანი გარანტირებული უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარებაა (გარდა XXI საუკუნეში განხორციელებული ტერორისტული თავდასმებისა, ნატოს ქვეყნების ცხოვრების მშვიდობიანი რიტმი არ დარღვეულა). ნატოში ინტეგრაცია ქვეყნისათვის არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური არამედ ეკონომიკური კუთხითაც იქნება მნიშვნელოვანი. სტაბილურ გარემოში — რომელსაც ნატო უზრუნველყოფს — გაიზრდება უცხოური ინვესტიციები, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის კეთილდღეობის წინაპირობაა. საკუთრივ უსაფრთხო გარემო და დემოკრატიის მაღალი ხარისხი ეკონომიკური განვითარების უმაღლეს სტანდარტებს განაპირობებს. შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკური მაჩვენებლით მსოფლიოს ათ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში, რვა ნატოს წევრი ქვეყანა შედის.

თითოეული ჩვენგანის მისწრაფება განვითარებისა და კეთილდღეობისკენ სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს გარანტირებული. საყოველთაო გლობალიზაციის პერიოდში საფრთხეებიც საკმაოდ მრავალფეროვანი გახდა, ჩვენი ქვეყანა სწორედ ნატოში ინტეგრაციის ფარგლებში ცდილობს, დაიცვას საკუთარი თავი შესაძლო საფრთხეებისაგან.

მაინც რა ფაქტორებზეა დამოკიდებული საქართველოს ნატოში ინტეგრაცია — ერთი მხრივ, ნატო ატარებს „ღია კარის“ პოლიტიკას, რაც საშუალებას აძლევს ყველა ევროპულ სახელმწიფოს გახდეს ალიანსის წევრი, მეორე მხრივ, წევრობის მსურველმა ქვეყანამ უნდა განახორციელოს რეფორმები სახელმწიფოებრივი მოწყობის ფაქტობრივად ყველა მიმართულებით *(ამ საკითხებზე საუბარია III თავის მე-2 ქვეთავში, ნატოს სტრუქტურა და გადაწყვეტილებათა მიღების წესი).*

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება თავდაცვის სისტემაში არსებულ ვითარებას ეთმობა. თავდაცვის სფეროში ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელება საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის დაწესებით დაიწყო. რეფორმების დასაწყისშივე, როგორც ყველა სხვა დემოკრატიულ ქვეყანაში, თავდაცვის მინისტრის პოსტი სამოქალაქო პირმა დაიკავა. (სამხედრო პირის მიერ თავდაცვის სისტემის ხელმძღვანელობა საბჭოთა სამხედრო მენტალიტეტის გამოძახილია). გაძლიერდა პარლამენტის როლი უსაფრთხოების სფეროს დემოკრატიულ ზედამხედველობაში, რაც ნატოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სტანდარტებს შეესაბამება. 2007 წელს თავდაცვის სამინისტრომ ნატოს წარმომადგენლებთან

კონსულტაციებზე დაყრდნობით წარმოადგინა **თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა**, რომელშიც დეტალურადაა განხილული 2015 წლამდე საქართველოს შეირაღებული ძალების განვითარების ძირითადი მიმართულებები და სტრუქტურა მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ვადაში.

სენაკის სამხედრო ბაზა

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები:

1. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
2. საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;
3. ეროვნული სამხედრო სტრატეგია.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, თავდაცვის სამინისტრო ისწრაფვის შექმნას ეფექტური, ნატოსთან თავსებადი თავდაცვითი შესაძლებლობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის უსაფრთხოება და დაცულ იქნას სახელმწიფოს სუვერენიტეტი. 2013—2015 წლებში შესაძლებელი იქნება ერთი ბატალიონის დამოუკიდებლად განლაგება და სრული ფინანსური და ლოჯისტიკური უზრუნველყოფა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.



„ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“-მ დაამზადა კომიქსი და ანიმაციური ფილმი „ანის და რატის საოცარი თავგადასავალი ნატოში“ სპეციალურად ბავშვებისთვის

საგულისხმოა, რომ ნატოს შემფასებელი ჯგუფების მიერ უმეტესად დადებითად ფასდება ის რეფორმა, რომელიც ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სისტემაში.

ჩვენი ქვეყანა არა მხოლოდ მიილტვის გახდეს უსაფრთხოების უმაღლესი გარანტიების მქონე ქოლგა-ორგანიზაციის წევრი, არამედ თავადაც მონაწილეობს ნატოს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოსა და ავღანეთში, ასევე ე.წ. „კოალიციის“ მიერ წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციაში ერაყში. ქართველი მშვიდობისმყოფელები პირველად ნატოს ეგიდით განხორციელებულ ოპერაციაში 1999 წელს ჩაებნენ კოსოვოში, როდესაც ქართული ოცეული თურქული ბატალიონის შემადგენლობაში ასრულებდა სამშვიდობო მისიას. დღეისათვის ათასობით ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ უკვე მიიღო მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში. სოლიდარობა და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა კი ნატოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტურ რეგიონებში სამშვიდობო პოლიტიკის გატარებას და მეზობელ ქვეყნებთან პარტნიორულ ურთიერთობას. ნატოს უმაღლესი თანამდებობის პირებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს აღიარებს იმ ფარგლებში, რომელშიც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი შედის და სხვა მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზულად არც არასდროს განიხილებოდა.

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ნატო საკმაოდ მოქნილი ორგანიზაციაა. იგი ალიანსის არცერთ არაწევრ ქვეყანას არ აძლევს საშუალებას, ნეგატიური გავლენა მოახდინოს რომელიმე ქვეყნის ნატოსკენ მისწრაფებაზე. ასე, მაგალითად, ლატვიასა და რუსეთს შორის არ არსებობდა

ხელშეკრულება საზღვრის შესახებ. ეს ხელშეკრულება ლატვიასა და რუსეთს შორის მხოლოდ ახლახან, ლატვიის ნატოში გაწევრიანების შემდეგ გაფორმდა. ამგვარი „შეღავათი“ ნატომ ლატვიას მხოლოდ იმიტომ გაუწია, რომ რუსეთისთვის ლატვიის ნატოში ინტეგრაციის პროცესზე უარყოფითი გავლენის საშუალება არ მიეცა. სწორედ ამიტომაც არის ზომიერი და პოლიტიკურად გამართლებული ნატოს წარმომადგენლების განცხადებები, რომ კონფლიქტური რეგიონები არ იქნება დაბრკოლება საქართველოს ნატოში ინტეგრაციისთვის.

ნატო, თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს ზნეობრივ-მორალური და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით რჩეულთა, ალიანსია, რომელში გაწევრიანება რამდენადაც რთულია, იმდენად მიმზიდველი და სასარგებლო. იგი დაინტერესებულია, რომ წევრად მიიღოს ქვეყანა, რომელიც სტაბილური და დემოკრატიული იქნება. დემოკრატიული ფასეულობებისადმი პატივისცემა აისახა როგორც ვაშინგტონის ფუძემდებელ ხელშეკრულებაში, ასევე ნატოს მიერ მიღებულ ყველა მომდევნო დოკუმენტში. შესაბამისად ნატოს წევრი ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საქართველოში დემოკრატიის ხარისხს, ადამიანის უფლებების დაცვას, კერძო საკუთრების პატივისცემას, სასამართლო და საარჩევნო სისტემების სამართლიანობას. ნათელია, საქართველომ უნდა დაუმტკიცოს ნატოს წევრ-ქვეყნებს, რომ აკმაყოფილებს ყველა შესაბამის მოთხოვნას, ამისათვის კი ყველა იმ პოზიტიური ძალის მობილიზებაა საჭირო, რომელიც საზოგადოებაში არსებობს.

დოკუმენტები და წყაროები

1. 1920 წელს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა პირველი ევროპული დელეგაცია. ამ ვიზიტით საქართველოს მთავრობა ცდილობდა საერთაშორისო აღიარების მოპოვებას. 1920 წლის 15 სექტემბერს ევროპელი სტუმრების პატივსაცემად გამართულ დამფუძნებელი კრების სხდომაზე დეპუტატმა გიორგი გვაზავამ საკმაოდ ლაკონურად ჩამოაყალიბა ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტი:

„საუკუნის განმავლობაში ჩვენ მოვწყდით მსოფლიო კულტურას. ზოგი მიიჩნევს კიდეც, რომ საქართველო უსათუოდ უნდა იყოს რუსეთის ფარგლებში. თქვენ ხედავთ, რომ საქართველოსთან უფრო ახლოსაა ინგლისი და საფრანგეთი, ვიდრე რუსეთი. საქართველომ დაიწყო ცხოვრება მაშინ, როდესაც ღვიოდა ხმელთაშუა ზღვის კულტურა. დროთა უკუღმართობამ შუა საუკუნეებში საქართველო მოსწყვიტა ამ ბუნებრივ გ ზას. ხალხთა შორის უკანასკნელმა შეტაკებამ და ომმა ისევ აღადგინა ეს ძველი ბუნებრივი მიმართულება. საქართველო ბუნებრივად მოსწყდა რუსეთს და უნდა მომწყდარიყო. მან მოიპოვა ისევ ძველი გ ზა, რომელიც გვაახლოვებს და გვაერთებს დასავლეთ ევროპასთან. ჩვენ დავუახლოვდით ბელგიას, საფრანგეთს, ინგლისსა და იმ ქვეყნებს, რომლებშიც ღვივის ახლანდელი საკაცობრიო კულტურა“.

წყარო: *საქართველო-ნატო – საწყისები რეალობა პერსპექტივები, თბილისი 2007, ახალი თაობა-ახალი ინიციატივა.* www.ngni.net

2. საქართველოს პარლამენტის მიმართვა ნატოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტების მიმართ:

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველი ხალხის ურყევ სურვილს, აშენოს ერთიანი, დემოკრატიული, ევროპული ტიპის სახელმწიფო.

...კვლავ ვადასტურებთ, რომ ნატოში გაწევრიანება საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად მიაჩნია. გვსურს დაგარწმუნოთ, რომ ნატოში გაწევრიანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესში დამატებითი დაბრკოლების შექმნა გახდება მკაფიო, წამახალისებელი გზავნილი ყველა ძალისთვის, რომელიც საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების შეფერხებითაა დაინტერესებული.

მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ახალი გეოპოლიტიკური რეალიები, ევროპული და ევროატლანტიკური ინსტიტუტების გაფართოების ტენდენცია, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებები, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე და მხარი დაუჭიროთ საქართველოს მის სწრაფვაში, გახდეს ევროპული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის წევრი.

2006 წლის 11 მაისი,

წყარო: http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=98&info_id=11638

3. ფრაგმენტი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან:

...საქართველო ნატოს განიხილავს, როგორც კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციას, რომელიც ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის უმთავრესი მექანიზმია. ნატოსთან თანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას, დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში, ასევე უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ნატოში გაწევრიანებით საქართველო არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების უპრეცენდენტო გარანტიებს მიიღებს, არამედ თავის წვლილს შეიტანს ევროპის, განსაკუთრებით - შავი ზღვის რეგიონის, უსაფრთხოების განმტკიცებაში. საქართველომ გამოხატა თავისი მზადყოფნა, გაიზიაროს კოლექტიური უსაფრთხოების პასუხისმგებლობა, რაც უკვე დაამტკიცა ავღანეთსა და კოსოვოში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნით.

წყარო: http://www.mod.gov.ge/?l=G&m=3&sm=1

4. ნაწყვეტი პარლამენტის დადგენილებიდან საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ. დადგენილება მიიღებულია ერთხმად 2006 წლის 11 მაისს:

...ითვალისწინებს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება არის სახელმწიფოს განმტკიცებისა და გაძლიერების გარანტი ქვეყნისა და ხალხის დემოკრატიული განვითარებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის გზით;

გამოხატავს მტკიცე პოლიტიკურ ნებას, ხელი შეუწყოს დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებას რეგიონში, თავისი წვლილი შეიტანოს ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში, მათ შორის, განავითაროს საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა, როგორც საერთო ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილი;

განიხილავს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მონაწილეობას ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში, როგორც საქართველოს ფაქტობრივი მოკავშირეობის დამადასტურებელ ფაქტს;

მიესალმება საქართველოს მიერ ნატოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში მიღწეულ პროგრესს...

წყარო: http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=98&info_id=11640

5. ფრაგმენტი საქართველოს საპარლამენტო ფრაქციებისა და პოლიტიკური პარტიების მემორანდუმიდან, რომელიც ნატოში გაწევრიანების შესახებ მიიღეს 2007 წლის 12 მარტს. მემორანდუმს ხელი მოაწერა ყველა საპარლამენტო ფრაქციამ და პარტიამ, ხოლო მოგვიანებით კი არასაპარლამენტო ოპოზიური პარტიების წარმომადგენლებმაც გამოთქვეს სურვილი მემორანდუმის მხარდაჭერის შესახებ:

...ვაღიარებთ, რომ ნატოს წევრობა არის საქართველოს ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარების საუკეთესო გარანტია.

ვესწრაფვით, გატარდეს სტაბილური, თანამიმდევრული და წარმატებული საგარეო პოლიტიკა, როგორც პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული თანხმობისა და ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის შედეგი.

2007 წლის 12 მარტი. პარლამენტი
პოლიტიკური პარტიის ლიდერები ხელს აწერენ ნატოში გაწევრიანების შესახებ მემორანდუმს

პრინციპულად არ ვიზიარებთ თვალსაზრისს საქართველოს შესაძლო ნეიტრალიტეტის შესახებ, როგორც ნატოში გაწევრიანების ალტერნატივისა, აგრეთვე სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომ ნატოში ინტეგრაციის პროცესი და გაწევრიანება რაიმე საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

ვუგზავნით მკაფიო და ერთმნიშვნელოვან გზავნილს საქართველოს მოქალაქეებს, სხვა სახელმწიფოთა ხელისუფლებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ვესწრაფვით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ევროპასა და რეგიონში მშვიდობის დაცვის, დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებისა და თანამედროვე გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლის საქმეში.

ვაცხადებთ, რომ ერთსულოვნად ვეთანხმებით და მხარს ვუჭერთ საქართველოს სრულ ინტეგრაციას და, შეძლებისდაგვარად, სწრაფ გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოში)...

წყარო: http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=63&info_id=15105

6. 2008 წლის 8 თებერვალს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სენატორ ჯონ მაკკეინის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც იგი საქართველოს და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის საკითხსაც შეეხო:



„ამ ორ ერს აქვს ძალიან სწორი მისწრაფება დემოკრატიისადაუსაფრთხოებისკენ,როგორცევროპის გულთან მყოფ სხვა სახელმწიფოებს. უკრაინას, და საქართველოს ჰყავთ რთული მეზობლები და აქვთ შიდა გამოწვევები. ისინი არიან ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნები და მათი გზა იქნება რთული. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ მათ თითოეულ ნაბიჯს ამ გზაზე“...

ჯონ მაკკეინი
1986 წლიდან დღემდე აშშ-ს სენატორი

კითხვები და დავალებები

1. *ჩამოთვალეთ და აღწერეთ საქართველოს ისტორიული პარტნიორები და მოკავშირეები, დაახასიათეთ საქართველოს მონაწილეობა ამ კავშირებში, რამდენად სტაბილური იყვნენ პარტნიორები, რამდენად თანაბარუფლებიანი და პარიტეტული ადგილი ეჭირა საქართველოს ამ კავშირებში, რამდენად იღებდა საქართველო სარგებელს არსებულ კავშირებში?*

2. *დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ (1991 წელი) აღწერეთ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები (ნატოში ინტეგრაცია, ნეიტრალიტეტი, დსთ-ს სივრცეში დარჩენა, ერთიანი კავკასიური ან დამოუკიდებელი თავდაცვის სიტემის შექმნა ...) და შედარების გზით გააანალიზეთ თითოეული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.*

3. *ჩამოთვალეთ ის გამოწვევები, რომლებიც არსებობს, ან შესაძლოა სამომავლოდ არსებობდეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კუთხით.*

4. *აღწერეთ ის პოზიტიური ცვლილებები, რაც შეიძლება საქართველომ მიიღოს ნატოში ინტეგრაციით (პოლიტიკური, ეკონომიკური, თავდაცვითი).*

5. *გაეცანით ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას და გააანალიზეთ ნატოს რომელი ფასეულობები არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქართველოსთვის.*

6. *რა განსხვავებაა ნატოს პარტნიორსა და წევრებს შორის?*

7. *რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს ინტეგრაციამ ნატოში ევრო-ატლანტიკურ სივრცეს?*

8. როგორ ცდილობდა ნატო დაეძლია რუსეთის მცდელობები, რომლებიც ალიანსის გაფართოების წინააღმდეგ იყო მიმართული (ისარგებლეთ წინა თავებითაც)?

9. გამოიყენეთ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მუხლები და განსაზღვრეთ, როგორი ვალდებულებები და წინაპირობები არსებობის იმისთვის, რომ ინტეგრაციის სურვილის მქონე ქვეყანა გახდეს ნატოს წევრი?

საზოგადოება აგრძელებს კამათს

საზოგადოებაში არის კითხვები ნატოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, კერძოდ:

- თუ ნატოში გავწევრიანდებით კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების განმუხტვის გარეშე, ამით სამუდამოდ ხომ არ დავკარგავთ ამ რეგიონებს?
- ნატოში გაწევრიანება გააფუჭებს ურთიერთობას რუსეთთან, რაც დაამძიებს სოციალურ-ეკონომიკურ ფონს საქართველოში.
- ნატოს მხოლოდ ავღანეთისა და სხვა სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის ხომ არ ვჭირდებით?
- ხომ არ ჯობია საქართველომ ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს და ყველასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს?

შევეცადოთ შევაფასოთ, რამდენად საფუძვლიანია ის კრიტიკული მარცვალი, რომელიც თითოეულ ამ კითხვაში დევს. მოიძიეთ ინფორმაცია, მოაწყვეთ დისკუსიები ამ საკითხებზე.

დასკვნა

საქართველოს არ ჰყოლია ისეთი პარტნიორი, რომელიც ხელს შეუწყობს ნაციონალურ თვითმყოფადობას და უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ამ მხრივ ისტორიულ გამონაკლისს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ყოველთვის ჯობია იყო ნეიტრალური, მაგრამ ვინ უზუნველყოფს მაშინ ქვეყნის უსაფრთხოებასა და განვითარებას. სამწუხაროდ, ნეიტრალიტეტი მიუღწეველია იმ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და ისტორიულ სივრცეში, რომელშიც საქართველო იმყოფება. აქედან გამომდინარე, საქართველომ თავად უნდა განსაზღვროს რომელი ფასეულობები და საგარეო მიმართულებებია მისი საზოგადოებისათვის მისაღები.

ნატოსთან დაახლოება, სტაბილურობის გაზრდას ნიშნავს, რაც ეკონომიკური აღმავლობის მთავარი საფუძველია. საქართველოს არ აქვს მთლიანად გამოყენებული ის რესურსები, რომლებიც მომავალში, სტაბილური განვითარების შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანენ ქვეყანას (იგულისხმება საზღვაო პორტები, საკურორტო და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა). მარტივად რომ ვთქვათ, დღესავით ნათელია ის პერსპექტივები, რომლებიც ნატოში ინტეგრაციას ახლავს თან. ეს არის საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის განვითარების ახალი შესაძლებლობები და ქვეყნის უსაფრთხოების მაქსიმალურად მაღალი გარანტიები.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება

ვაშინგტონი, 4 აპრილი, 1949 წელი.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანებისადმი ერთგულებას და თანხმდებიან, დაამყარონ საერთაშორისო მშვიდობა მსოფლიოს ხალხებთან და სახელმწიფოებთან ერთად.

მხარეები მზად არიან, დაიცვან თავისუფლება, საკუთარი ხალხის საერთო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია, რაც ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს, ინდივიდუალურ თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მზად არიან ხელი შეუწყონ სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამყარებას ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში.

მხარეებმა საერთო ძალისხმევით უნდა უზრუნველყონ კოლექტიური თავდაცვა მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. ამდენად, ისინი თანხმდებიან შემდეგ ზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად, ვალდებულნი არიან, დაარეგულირონ საერთაშორისო კონფლიქტები მშვიდობიანი გზით, რათა საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას და თავი შეიკავონ საერთაშორისო ურთიერთობებში მუქარისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისგან, რაც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს.

მუხლი მე-2

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა, დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამყარების მიზნით, ხელი უნდა შეუწყონ საერთაშორისო სამშვიდობო და მეგობრული ურთიერთობების განვითარებას, შეამცირონ კონფლიქტები საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და გააძლიერონ ეკონომიკური თანამშრომლობა.

მუხლი მე-3

ხელშეკრულების ამოცანების ეფექტური განხორციელებისათვის, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა საკუთარი ძალებითა და ურთიერთდახმარებით უნდა შეინარჩუნონ და გააძლიერონ შეიარაღებულ თავდასხმასთან ბრძოლის ინდივიდუალური და კოლექტიური სამხედრო პოტენციალი.

მუხლი მე-4

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა მუდმივად უნდა გაუწიონ ერთმანეთს კონსულტაციები, თუკი, რომელიმე მათგანის აზრით, ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას თუ უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრება.

მუხლი მე-5

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მიიჩნევა როგორც თავდასხმა ყველას წინააღმდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით ისინი დახმარებას გაუწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება. ნებისმიერი ამგვარი სახის შეიარაღებული თავდასხმისა და მის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. ამგვარი ღონისძიებები დასრულდება მაშინ, როცა უშიშროების საბჭო მიიღებს ზომებს, რაც აუცილებელი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის.

მუხლი მე-6

ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეზე ან მხარეებზე განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმად მიიჩნევა თავდასხმა: ხელშეკრულების მონაწილე ევროპისა თუ ჩრდილოეთ ამერიკის ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე, თურქეთის ტერიტორიასა თუ ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთით ან ნებისმიერი მონაწილე მხარის იურისდიქციაში მყოფ კუნძულებზე, ხელშეკრულებაში მონაწილე ნებისმიერი მხარის შეიარაღებულ ძალებზე, სამხედრო გემებსა და ავიაციაზე, რომლებიც განთავსებულია იმ დროისთვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე, ან ევროპის იმ რეგიონებზე, რომლებზეც ვრცელდება ხელშეკრულების იურიდიული სტატუსი, ან ხმელთაშუა ზღვისა და ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთის ტერიტორიებზე.

მუხლი მე-7

გაეროს წესდებისა და უშიშროების საბჭოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულება არანაირად არ შეეხება ხელშეკრულებაში მონაწილე იმ ქვეყნების უფლება-მოვალეობებს, რომლებიც აგრეთვე გაეროს წევრი ქვეყნები არიან.

მუხლი მე-8

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე აცხადებს, რომ მისი მოქმედი საერთაშორისო გარიგება რომელიმე სხვა მხარესთან ან სხვა სახელმწიფოსთან ვერ დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ვალდებულია არ მიიღოს მონაწილეობა არცერთ საერთაშორისო გარიგებაში, რომელიც ხელშეკრულების საწინააღმდეგო იქნება.

მუხლი მე-9

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აყალიბებენ საბჭოს, რომელსაც ესწრება უკლებლივ ყველა მათი წარმომადგენელი, რათა განიხილონ ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. საბჭო მზად უნდა იყოს შეიკრიბოს ნებისმიერ დროს. მან, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შექმნას დამხმარე ორგანოები, კერძოდ, თავდაცვის კომიტეტი, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს იმ ღონისძიებების გატარებაზე, რაც ხელშეკრულების მე-3 და მე-5 მუხლების განხორციელებისკენ იქნება მიმართული.

მუხლი მე-10

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ხელშეკრულებაში გაწევრიანების მიზნით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეუძლიათ მოიწვიონ ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია შესაბამისი შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში.

მუხლი მე-11

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა უნდა მოახდინონ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და განახორციელონ მისი დებულებები კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად. სარატიფიკაციო სიგელები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს. იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც უკვე მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმომწერ სახელმწიფოთა სარატიფიკაციო სიგელების გადაცემისთანავე, ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სარატიფიკაციო სიგელების ჩათვლით.

მუხლი მე-12

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 წლის შემდეგ (ან ნებისმიერ შემდეგ წლებში) მხარეებმა, თუკი რომელიმე მხარე ამას მოითხოვს, უნდა აწარმოონ ერთობლივი კონსულტაციები ხელშეკრულების გადასინჯვასთან დაკავშირებით, მხედველობაში მიიღონ ის ფაქტორები, რომლებიც იმ პერიოდში გავლენას ახდენენ ჩრდილოატლანტიკის უსაფრთხოებაზე და, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, გაატარონ გაეროს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებები გლობალურ და რეგიონალურ დონეზე.

მუხლი მე-13

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 წლის შემდეგ ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია გააუქმოს საკუთარი წევრობა ხელშეკრულებაში მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ოფიციალურად აცნობებს ხელშეკრულების წევრობის გაუქმების თაობაზე.

მუხლი მე-14

ხელშეკრულება, რომლის ინგლისურ და ფრანგულ ორიგინალებს ერთნაირი იურიდიული ძალა გააჩნიათ, შეინახება ამერიკის შეერთებული შტატების არქივში. დამოწმებული ასლები აშშ-ის მთავრობის მიერ გადაეცემათ ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი მხარეების მთავრობებს.

ტერმინთა განმარტება

ალიანსი – ორი ან მეტი სახელმწიფოს ფორმალური შეთანხმება თანამშრომლობაზე, თავდაცვისა და ურთიერთდახმარების საკითხებზე. საკმაოდ ხშირად ნატოს სწორედ ამ ტერმინით – „ალიანსით“ მოიხსენიებენ.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია – ნატოს მიზნები და ამოცანები ევროატლანტიკურ სივრცეში „ცივი ომის“ შემდეგ ჩამოყალიბებულ იქნა ორ დოკუმენტში — ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციებში 1991 და 1999 წლებში.

ბევინი, ერნესტ (1881-1951) – ბრიტანელი ლეიბორისტი ლიდერი, პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე.

გლობალიზაცია – სახელმწიფოებისა და საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა პრაქტიკულად ყველა სფეროში.

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა – მიზნებისა და პრიორიტეტების ერთობლიობა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, თავდაცვა, რესურსების მართვა, უსაფრთხოება და სამართალი. ამ პრიორიტეტების სწორად აღქმა და შესრულება ეხმარება კანდიდატ სახელმწიფოს გახდეს ნატოს წევრი.

გორბაჩოვი, მიხეილ – საბჭოთა კავშირის ლიდერი 1985-1991 წლებში. მის მიერ ინიცირებული „პერესტროიკის“ პერიოდში დაიშალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჰეგემონია და თავად საბჭოთა კავშირიც.

დე გოლი, შარლ (1890-1970) – გამოჩენილი ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი 1958-1969 წლებში.

ევროატლანტიკური საბჭო – ნატოს წევრ-ქვეყნებსა და პარტნიორებს შორის თანამშრომლობა, პარტნიორობა და დიალოგი უსაფრთხოების საკითხებზე.

ევროატლანტიკური სივრცე – „პირობითი“ რეგიონი, რომელშიც ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნები შედიან.

ევროკავშირი – დაფუძნდა 1951 წელს, დღესდღეობით აერთიანებს 27 ქვეყანას. მიისაწრაფის თავისი წევრი ქვეყნების მჭიდრო ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური ინტეგრაციისკენ. ასევე ავითარებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

ევროპის საბჭო – დაფუძნდა 1949 წელს, აერთიანებს 47 ქვეყანას. ორიენტირებულია ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე. თავისი საქმიანობით მოიცავს ყველა მნიშვნელოვან სფეროს, თავდაცვის გარდა.

ეიზენჰაუერი, დუაიტ დევიდ (1890-1969) – აშშ სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო მოსამსახურე. მეორე მსოფლიო ომში ინგლის-ამერიკის გაერთიანებული არმიის მთავარსარდალი. ამერიკის 34-ე პრეზიდენტი 1953-1961 წლებში. 1951 წელს გახდა ნატოს პირველი უმაღლესი მთავარსარდალი.

ეუთო – ევროპის უსაფთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. მიზნად ისახავს განავითაროს დემოკრატია და ადამიანის უფლებები ევროპაში. ის ასევე იღებს ზომებს, წაახალისოს და ხელი შეუწყოს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია – სამხედრო პოლიტიკური ბლოკი, რომელიც შეიქმნა 1955 წელს საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ალბანეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის მიერ. მოგვიანებით მას შეუერთდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ხშირად ორგანიზაციას აღმოსავლეთის ბლოკსაც უწოდებდნენ.

კოლექტიური თავდაცვა – სახელმწიფოთა ვალდებულება, უზრუნველყონ ალიანსის ფარგლებში წევრ-სახელმწიფოთა უსაფრთხოება.

კოლექტიური უსაფრთხოება – ურთიერთშეთანხმება სახელმწიფოებს შორის გამოიყენონ საერთაშორისო სამართლის ნორმები მსოფლიოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის.

კენანი, ჯორჯ (1904-2005) – ამერიკელი დიპლომატი, პოლიტოლოგი და ისტორიკოსი.

კონსესუსი – პრინციპი, რომელიც ეფუძნება ერთხმად გადაწყვეტილების მიღებას.

მარშალი, ჯორჯ (1880-1959) – ამერიკელი სამხედრო ლიდერი, სახელმწიფო მდივანი. სახელმწიფო მდივნობის დროს შექმნა აშშ-ის ევროპის ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების პროგრამა (შემდგომ „მარშალის გეგმა“), რომლისთვისაც დაჯილდოვდა 1953 წელს ნობელის პრემიით.

მასობრივი განადგურების იარაღი – ბიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული იარაღი, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ათასობით და მილიონობით ადამიანი დიდ ტერიტორიებზე, აგრეთვე გამოიწვიოს სხვა სახის ფართომაშტაბიანი ნგრევები.

ნატო – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა აშშ-ში 1949 წელს, დანიის, ბელგიის, საფრანგეთის, ისლანდიის, იტალიის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, აშშ-ის და პორტუგალიის მიერ, რომლის მიზანი იყო ამ ქვეყნების კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფა.

ნატოს გაფართოვების პროცესი – ალიანსში სახელმწიფოთა მიღება იმ მიზნით, რომ უფრო დაცული იყოს ევროატლანტიკური სივრცე.

ნატოს პარტნიორი – სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და არის ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წარმომადგენელი.

ნატოს რეაგირების ძალები (NRF-NATO Response Force) – სპეციალური ქვეგანაყოფი ნატოს დაქვემდებარებაში, რომლის შექმნა დასრულდა 2006 წელს. ამ ძალების მიზანია საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მაქსიმალურად სწრაფი რეაგირება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკა – ალიანსის მზაობა მიიღოს სახელმწიფოები, რომლებიც იზიარებენ ფასეულობებს, რომლებიც დადგენილია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით და რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას.

ოპერატიული თავსებადობა – მონაწილე ქვეყნებისა, პარტნიორი ქვეყნების და აგრეთვე სხვა სახელწიფოთა მზადყოფნა, მიიღონ მონაწილეობა ერთობლივ სწავლებებსა და ოპერაციებში, დასახული ოპერაციების და მიზნების შესასრულებლად.

ორპოლუსიანი (ბიპოლარული) მსოფლიო – საერთაშორისო სისტემის სრტუქტურა, რომელიც ექვემდებარება მსოფლიოში ორ იმპერიას. ორპოლუსიანი სისტემას ადგილი ქონდა „ცივი ომის“ პერიოდში, როდესაც მსოფლიო გაყოფილი იყო ორ ბანაკად.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ – პროგრამა, რომელიც შეიქმნა 1994 წელს წევრი და პარტნიორი ქვეყნების პრაქტიკული თანამშრომლობის მიზნით უსაფრთხოების გამყარების, თავდაცვისა და მშვიდობის საკითხებში.

„რკინის ფარდა“ – ტერმინი გამოიყენებოდა „ცივი ომის“ დროს, რომელიც საზღვარსა ავლებდა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ სახელმწიფოებსა და დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებს შორის.

რეიგანი, რონალდ (1911 - 2004) – აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი. პრეზიდენტად არჩეული იყო ორი ვადით. კალიფორნიის გუბერნატორი 1967-75წლებში.

საერთშორისო პოლიტიკური სისტემა – სახელმწიფოების ერთობლიობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება.

საერთაშორისო ტერორიზმი – ტერორისტულ დაჯგუფებათა ძალადობრივი ქმედებები ან მუქარა, რომელიც მიმართულია ქვეყნებისა და ადამიანების წინააღმდეგ.

სუვერენიტეტი – სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა, რომელიც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს მისი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ყველა წესი, საშინაო და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ტოტალიტარიზმი – აბსოლუტური ძალაუფლების პოლიტიკური იდეოლოგია. სახელმწიფო სოციალიზმი, კომუნიზმი, ნაციზმი, ფაშიზმი და ისლამური ფუნდამენტალიზმი ტოტალიტარიზმის არც თუ დიდი ხნის წინანდელი გამოვლინებებია. ტოტალიტარული მმართველობის დროს მთავრობა ცდილობს ჩაერიოს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ტოტალიტარული ხელისუფლება ცდილობს გააკონტროლოს არა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები, არამედ ასევე მოსახლეობის ღირებულებები, დამოკიდებულებები და შეხედულებები. საზოგადოების უპირველეს ინტერესად მოქალაქის სახელმწიფოს წინაშე მოვალეობა იქცევა.

ტრანსატლანტიკური სივრცე – ნატოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიები.

ტრუმენის დოქტრინა – 1947 წელს ამერიკის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის მიერ დაწყებული საგარეო პოლიტიკის მიმართულება, რომელიც ითვალისწინებდა დემოკრატიის

გავრცელებას მსოფლიოში და აშშ-ის მხარდაჭერას ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებოდნენ კომუნიზმის საფრთხის ქვეშ.

„უსაფრთხოების ნაცრისფერი ზონა“ – ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა 90-ანი წლების დასაწყისში გარკვეული ქვეყნების აღსანიშნავად (ბალტიის ქვეყნები, ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორია). ეს ქვეყნები იმყოფებოდნენ, ერთი მხრივ, ნატოს წევრ-სახელმწიფოთა ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთს შორის.

რუზველტი, ფრანკლინ დელანო (1882-1945) – ამერიკის შეერთებული შტატების 32-ე პრეზიდენტი. ამერიკის ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც აირჩიეს ამ თანამდებობაზე ორზე მეტი ვადით.

შეკავების პოლიტიკა – წარმოადგენს „ცივი ომის“ დროს ამერიკის მიერ გამოყენებულ სტრატეგიას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო ძალების გაზრდას და დემოკრატიული სახელმწიფოების მხარდაჭერას იმისთვის, რომ არ მომხდარიყო კომუნიზმის გავრცელება მსოფლიოში.

ჩერჩილი, უინსტონ (1874-1965) – გამოჩენილი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი, მწერალი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1953).

ჩრდილოატლანტიკური საბჭო – ნატოს გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო.

ჩრდილოატლანტიკური (ვაშინგტონის) ხელშეკრულება – დადებულ იქნა 1949 წელს ნატოს შექმნის შესახებ.

„ცივი ომი“ – გლობალური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური კონფრონტაცია, ერთი მხრივ, აშშ-სა და მის მოკავშირეებს და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს შორის, რომელიც მეოცე საუკუნის 40-იანი წლების შუა ხნიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა.

ჰუმანიტარული ჩარევა – სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ ჩარევა სხვა სახელმწიფოს საქმიანობაში სამხედრო ძალის გამოყენებით, იმისთვის, რომ აღიკვეთოს ადამიანთა უფლებების დარღვევა ფართო მასშტაბით. ამ ტიპის მოქმედებებზე სანქციას გასცემს გაერო.

ქრონოლოგია

მსოფლიოში	წლები	საქართველოში
ფულტონში უინსტონ ჩერჩილმა წარმოთქვა სიტყვა „რკინის ფარდის“ შესახებ (1946);	1945	საქართველო იმყოფება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში;
გაკეთდა განცხადება ტრუმენის დოქტრინის შესახებ აშშ-ში (1947);		
შეიქმნა მარშალის გეგმა (1947);		
საბჭოთა კავშირმა შექმნა კომინფორმი (1947);		
დაიწყო ბერლინის ბლოკადა (1948);		მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან დაიღუპა 300000–მდე ქართველი, პროცენტულად ყველაზე მეტი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით (1941-1945);
შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (1949);		
გერმანია გაიყო 2 ნაწილად (1949);		
საბჭოთა კავშირმა მოახდინა ატომური ბომბის პირველი გამოცდა (1949);		
შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (1951)	1950	გარდაიცვალნენ: ექვთიმე თაყაიშვილი - დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე; ემიგრაციაში მყოფი ნოე ჟორდანია — 1917-1921 წლის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაური; იოსებ სტალინი - საბჭოთა იმპერიის დიქტატორი (1953);
ატომური ბომბის გამოცდა ბრიტანეთში და წყალბადის ბომბის გამოცდა აშშ-ში (1952);		
საბერძნეთი და თურქეთი ნატოს წევრები გახდნენ (1952);		დიდმა ქართველმა პოეტმა, გალაქტიონ ტაბიძემ, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე (1955);
		9 მარტს, თბილისში, ი.სტალინის მხარდამჭერი გამოსვლის პასუხად, საბჭოთა ხელისუფლების ბრძანებით, დაარბიეს მშვიდობიანი მსვლელობა, შედეგად გარდაიცვალა 100-მდე ადამიანი (1956);
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოს წევრი გახდა (1955);		
შეიქმნა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია (1955);		მაუწყებლობა დაიწყო საქართველოს ტელევიზიამ (1956);
საბჭოთა კავშირმა ჩაახშო აჯანყება უნგრეთში (1956);		
დაიწყო სუეცის კრიზისი (1956);		
აღიმართა ბერლინის კედელი (1961);	1960	საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლმა, ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით, გრანდიოზული მსოფლიო ტურნე მოაწყო (1960);
დაიწყო სარაკეტო კრიზისი კუბაზე (1962);		

საფრანგეთმა ნატოს სამხედრო სტრუქტურა დატოვა და ნატოს შტაბბინა გადავიდა პარიზიდან ბრიუსელში(1966);	1960	თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონთა თასი დაისაკუთრეს. (1962);
ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო ძალებმა ოკუპაციაში მოაქცია ჩეხოსლოვაკია (1968);		თბილისში გაიხსნა მეტროპოლიტენი (1966);
ჰელსინკში გაიმართა შეხვედრა უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, სადაც მიიღეს დეკლარაცია ადამიანის უფლებებზე (1975);	1970	გამოვიდა საქართველოში პირველი ანტისაბჭოთა ჟურნალი „ოქროს საწმისი“ (1975);
		საქართველოს მოსახლეობამ 5 მილიონს მიაღწია (1977);
საბჭოთა კავშირი შეიჭრა ავღანეთში (1979);		14 აპრილს, ქართველი ხალხის ზეწოლის შედეგად, საბჭოთა ხელმძღვანელობამ უარი თქვა საკუთარ ინიციატივაზე ქართული ენის შეზღუდვასთან დაკავშირებით (1978);
ესპანეთი ნატოს წევრი გახდა (1982);	1980	თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ევროპის თასების მფლობელთა თასს დაეუფლნენ (1981);
ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ბირთვული რაკეტების განთავსებაზე აღმოსავლეთ ევროპაში, რათა შენარჩუნებულიყო ძალთა ბალანსი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (1983);		ქართველი ახალგაზრდების ჯგუფმა თვითმფრინავის გატაცების გზით საბჭოთა კავშირიდან გაქცევა სცადა. თბილისის აეროპორტში მომხდარი ინციდენტის დროს დაიღუპა ეკიპაჟის სამი წევრი, ორი მგზავრი და ორი გამტაცებელი. ჯგუფის დანარჩენი წევრები კი სიკვდილით დასაჯეს (1981);
აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა განაახლეს მოლაპარაკებები ბირთვული შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებით (1985);		
დაიწყო გორბაჩოვის „პერესტროიკა“ (1985);		9 აპრილს საბჭოთა სამხედროებმა თბილისის ცენტრში დაარბიეს მშვიდობიანი აქცია, რომელზეც ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფას მოითხოვდა. დაშავდა და დასახიჩრდა ათასამდე ადამიანი, გარდაიცვალა – 20 (1989);
მოხდა ჩერნობილის კატასტროფა (1986);		
გერმანია გაერთიანდა (1990);	1990	საქართველოში 28 ოქტომბერს, პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. უზენაესი საბჭოს არჩევნებში გაიმარჯვა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველომ“ (1990);
დაიშლა საბჭოთა კავშირი და მოხდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ლიკვიდაცია (1991);		დაიწყო კრიზისი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (1990);
დაიწყო ომი სპარსეთის ყურეში (1991);		საქართველომ XX საუკუნეში მეორედ, რეფერენდუმის შედეგზე დაყრდნობით, გამოაცხადა დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა ამომრჩევლების 99-მა პროცენტმა (1991);

ნატომ შექმნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო და პირველად დაიწყო თანამშრომლობა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან (1991);	1990	ყოფილი დისიდენტი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა (1991);
ნატომ შექმნა პროგრამა - „თანამშრომლობა მშვიდობისათვის“ (1994);		პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მთავრობის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის გამო იძულებით დატოვა საქართველო. ხელისუფლებაში მოსულმა სამხედრო საბჭომ ქვეყნის სამართავად რუსეთიდან მოიწვია ედუარდ შევარდნაძე (1992);
ნატომ დაიწყო ხმელთაშუა ზღვის დიალოგი (1995);		დაიწყო კრიზისი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (1992);
		საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა(1992);
დაფუძნდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო, საქართველო გახდა ამ სტრუქტურის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1996);		საქართველო გახდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი (NACC) (1992);
		საქართველო გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი(1993);
დაიწყო კოსოვოს კრიზისი (1999);		საქართველო შეუერთდა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას (1994).
		ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად (1995);
ნატოს ვაშინგტონის სამიტზე დამტკიცდა ალიანსის 21-ე საუკუნის სტრატეგიული კონცეფცია (1999);		24 აგვისტოს მიიღეს საქართველოს კონსტიტუცია (1995);
		ლარი გამოცხადდა საქართველოს ეროვნულ ვალუტად (1995);
პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი ნატოს წევრები გახდნენ (1999);		საქართველომ დაიწყო საკუთარი საზღვრების გაკონტროლება (1998.);
		საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა (1999);
1999 წლის 18-19 ნოემბრის ეუთოს სტამბოლ-ისსამიტზე გაფორმებული რუსეთ-საქართვე-ლოს ერთობლივი განცხადების საფუძველზე, რუსეთმა ვალდებულება იკისრა სამხედრო ნაწილების საქართველოდან გაყვანის შესახებ, რომლის შესრულებაც 2000 წლიდან დაიწყო		საქართველომ მონაწილეობა მიიღო ნატოს წევრი სახელმწიფოების ეგიდით ჩატარებულ სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოში (1999);
		18-19 ნოემბრის სტამბოლის ეუთოს სამიტის შეთანხმების საფუძველზე, რუსეთმა ვალდებულება იკისრა სამხედრო ნაწილების საქართველოდან გაყვანის შესახებ, რომლის შესრულებაც 2000 წლიდან დაიწყო (1999);

განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა აშშ-ზე (2001);	2000	საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ნატოში საქართველოს გაწევრიანების პროცესის დაწყების შესახებ (2002);
პირველად ნატოს ისტორიაში ამოქმედდა ხელშეკრულების მე-5 მუხლი (2001);		აშშ-ის მიერ დაიწყო საქართველოს არმიის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (2002)
ევროკავშირის 12 ქვეყანაში ევრო ოფიციალურ ვალუტად გამოცხადდა (2001);		საქართველოს ჯარისკაცებმა მონაწილეობა დაიწყეს ერაყში მიმდინარე კოალიციურ სამხედრო ოპერაციაში (2003);
შეიქმნა ნატო-რუსეთის საბჭო (2002);		გაყალბდა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები. ხალხის საპროტესტო აქციები საბოლოოდ „ვარდების რევოლუციაში“ გადაიზარდა (2003);
დაიწყო სამხედრო ოპერაცია ავღანეთში აშშ-ის ხელმძღვანელობით, რომელსაც ახორციელებდა კოალიცია ტერორიზმის წინააღმდეგ (2002);		საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა მიხეილ სააკაშვილი (2004);
პრაღის სამიტის დროს დაიწყო ნატოს ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი გაფართოვება (2002);		აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სრულად აღდგა საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება (2004);
მოსკოვში განხორციელდა ტერორისტული აქტი (ე.წ. ნორდ-ოსტის ტრაგედია) (2002)		საქართველომ მიიღო ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (2004);
დაიწყო ერაყის კრიზისი (2002/2003);		ქართველი სამხედროები მონაწილეობდნენ სამშვიდობო მისიაში ავღანეთში (2004);
აშშ-მა განახორციელა სამხედრო კამპანია ერაყის წინააღმდეგ და დაამხო ჰუსეინის რეჟიმი (2003);		საქართველოს ესტუმრა აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (2005);
იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა გაიყო სერბეთად და მონტენეგროდ (2003);		საქართველოს პრეზიდენტმა ევროპის საბჭოში წარადგინა კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში სამშვიდობო ინიციატივების გეგმა (2005);
მსოფლიომ პირველად გაიგო ქათმის გრიპის შესახებ (2003);		რუსეთის მხრიდან ცალმხრივად შეწყდა საჰაერო მიმოსვლა საქართველოსთან, შეიზღუდა ვაჭრობა (2005);
განხორციელდა მასშტაბური ტერორისტული აქტები მადრიდსა და ბესლანში (2004);		საქართველო ნატოსთან ინტენსიური დიალოგის ფაზაზე გადავიდა (2006);
		საქართველო გამოვიდა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის (დსთ) თავდაცვის მინისტრთა საბჭოდან (2006);
		განხორციელდა რუსეთიდან ქართველების მასშტაბური დეპორტაცია (2006);
ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, სლოვენია და რუმინეთი გახდნენ ნატოს წევრები (2004);		აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება ზემო აფხაზეთში გადავიდა (2006);
განხორციელდა ტერორისტული აქტი ლონდონში (2005);		საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა 5 მილიარდ ლარს მიაღწია (2007);

რუსეთმა ხელი მოაწერა სასაზღვრო ხელშეკრულებას ლატვიასთან (2007);	2000	გაფორმდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციებისა და პოლიტიკური პარტიების მემორანდუმი, საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერის შესახებ (2007);
		7 ნოემბერის პოლიტიკური კრიზისი (2007);
		საქართველოს პრეზიდენტად ზედიზედ მეორედ მიხეილ სააკაშვილი აირჩიეს (2008);
		5 იანვრის პლებისციტში მოსახლეობის 77.0 %-მა ნატოში გაწევრიანებას დაუჭირა მხარი (2008);
კოსოვომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა(2008)	2008	ხანგრძლივი პაუზის შემდეგ განახლდა პოლიტიკური დიალოგი საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის (2008)

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა

- ახალი თაობა – ახალი ინიციატივა. „საქართველო–ნატო: საწყისები, რეალობა, პერსპექტივები" – თბილისი 2007.
- ზურაბ აბაშიძე. „საქართველო და ნატო – უტოპიიდან რეალობისკენ" – თბილისი 2000.
- ნატოს საინფორმაციო ცენტრი. „მოკლედ ნატოს შესახებ" – თბილისი 2006
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (შემაჯამებელი მოხსენება, ადაპტირებული). 2007
- საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. „ნატო" (პოპულალური საკითხავი წიგნი, ქართულ და რუსულ ენაზე) – თბილისი 2006
- ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია (კემბრიჯი, მასაჩუსეტი); მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. „სახელმწიფო და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების რევოლუციის შემდეგ" (ბრუნო კოპიეტერსის და რობერტ ლეგვოლდის რედაქციით) – თბილისი 2006
- Asmus R. D. Opening NATO's Door: how the alliance remade itself for a new era. – New York: Columbia University Press, 2002.
- Evans G., Newnham J. The Penguin Dictionary of International Relations. – London: Penguin Books, 1998.
- John Lewis Gaddis.The Cold War: A New History. – Penguin Press, 2005.
- Grayson G. W. Strange Bedfellows: NATO Marches East. – New York: University Press of America Inc., 1999.
- Harris P., Reilly B. (eds.) Democracy and Deep – Rooted Conflict: Options for Negotiations. – Stockholm: Internationale Institute for Democracy and Electoral Assistance, 1998.
- Хрестоматия по новой и новейшей истории. – Том 3, Часть 1, Москва: Издательство социально – экономической литературы, 1961.
- Huntington S. P. The Clash of Civilizations and Remaking of World Order. – New York: Simon & Schuster, 1996.
- Kennedy P. The Rise and Fall of the Great Powers. – London: Fontana Press, !989.
- Kissinger H. Diplomacy. New York: Simon & Schuster, 1994.
- Next Steps in Forging a Euroatlantic Strategy for the Wider Black Sea. Asmus R. D. –editor. – Washington: The German Marshall Fund of the United States, 2006.

ნატოს საზოგადოებრივი დიპლომატიის განყოფილების გამოცემები:

- Partners in the Suthern Caucasus. – Brussels, 2007.
- NATO After Riga. – Brussels, 2006.
- Security Through Partnership. – Brussels, 2005.
- NATO After Istambul. – Brussels, 2004.
- NATO Transformed. – Brussels, 2004.
- NATO in the 21 st Century. – Brussels, 2004.
- Enhancing Security and Extending Stability through NATO Enlargement. – Brussels, 2004.
- NATO After Prague. – Brussels, 2002.
- NATO Briefing. NATO Military Structure. – Brussels, 2007.
- NATO Briefing. Helping Secure Afghanistan's Future. – Brussels, 2006.
- NATO Briefing. Ready to React Rapidly to Crises Worldwide. – Brussels, 2006.
- NATO Briefing. Countering Weapons of Mass Destruction. – Brussels, 2005.
- NATO Briefing. Response to Terrorism. – Brussels, 2005.
- NATO Briefing. Bringing Peace and Stability to the Balkans. – Brussels, 2005.
- NATO Review – Partnerships: Old and New. – Brussels, 2007.
- NATO Review – Riga Summit Special. – Brussels, 2006.
- NATO Review – NATO's Past, Present and Future. – Brussels, 2006.
- NATO Review – New Horizons. – Brussels, 2005.
- NATO – Russia Newsletter. – Brussels, 2007.
- The Environment and Security, Brussels 2005.
- NATO Handbook – Edition 2005/2006. – Brussels, 2006.
- NATO's Military Committee. – Brussels, 2007.
- Military Matters: the Beginnings of NATO's Military Structure: Birth of the Alliance to the Fall of the Berlin Wall. – Brussels, 2006.
- Five Years of Change in Afghanistan. – Brussels, 2007.